შირაქი

SHIRAKI

გამოცემის 85-ე წელი

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№45 (10.050)

3—10 დეკემბერი 2022

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

უცნობი ფოტო ნაცნობი იერით?

გვ. 2

საბა ბუთხუზი მერიისგან ჯილდოს მიიღებს გვ.6

გვ.3 საკრებულოში ოპოზიცია გაერთიანდა

აშენდება თუ არა სასტუმრო პირველი საჯარო სკოლის ტერიტორიაზე?!

დედოფლისწყაროში პირველი საჯარო სკოლის ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟი არ ცხრება. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოცხადებული ტენდერის მიუხედავად, საზოგადოების ერთი ნაწილი კვლავ ჯიუტად ამტკიცებს, რომ პირველი სკოლის შენობის ადგილი გაყიდულია და მის ადგილას სასტუმროს მშენებლობა იგეგმება.

მოსახლეობაში გავრცელებული ეს ინფორმაცია საზოგადოების ნაწილმა „ახალი და უტყუარი კულუარული ცნობით“ შეავსო და განამტკიცა, რომლის თანახმადაც, მუნიციპალიტეტის მერი თითქოს პოსტს ტოვებდა.

გავრცელებული ინფორმაციითა და დროის დათქმით, ნიკოლოზ ჯანიაშვილი მერიას უკვე უნდა დამშვიდობებოდა. ორივე ინფორმაციის გადასამოწმებლად გაზეთი „შირაქი“ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერს დაუკავშირდა.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი მისი გადადგომის შესახებ ინფორმაციას იუმორით პასუხობს და ამბობს, რომ მსგავსი ჭორი უკვე რამდენჯერმე გავრცელდა. მერმა კიდევ ერთხელ განმარტა, რომ მას ნდობის მანდატი მოსახლეობის უმრავლესობამ მიანიჭა და მერის სავარძელსაც მაშინ დაემშვიდობება, როცა მანდატს დრო ამოეწურება.

რაც შეეხება პირველი საჯარო სკოლის ირგვლივ არსებულ მითქმა-მოთქმას, მერი გავრცელებულ ინფორმაციას აბსურდულსა და თითიდან გამოწოვილს უწოდებს და ამბობს: **„ჯერ დაგეგმილია შენობის დემონტაჟი. მისი დასრულებისთანავე, გაზაფხულისთვის იგეგმება სამშენებლო სამუშაოების დაწყება. არანაირი სასტუმრო არ აშენდება. პირველი საჯარო სკოლა აშენდება იქ, სადაც სკოლის ავარიული შენობა დღესდღეობით დგას.“**

„ადამიანი თავისი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ბუნებას კლავს, მაგრამ დაავიწყდა, რომ ისიც ბუნების ნაწილია”...

მას ჯერ აჰ წაუკითხავს ნიცშეს „ასე იტყოდა ზარათუსტრა“, თუმცა ზეკაცის იდეა მისთვის უცხო სულაც აჰ გახლავთ. ჯერეს გაზეთ „შირაქის“ სტუმარია 12 წლის უნიჭიერესი მხატვარი, რომელიც განსხვავებული ხელწერითა და აზროვნებით გამოირჩევა. და ოდესაც ყველა ნიჭიერ შემოქმედს, აქვს მესამე თვალიც. ამას მისი ნახატების გაცნობისთანავე მიხვდებით.



„იუდას თხა“ - „დაბრმავებულს აღარაფერი აღარ დარჩა სიბნელეში იმის წარმოდგენის გარდა, რომ ის ღმერთი გახდა. მას შეუძლია ყველაფერი, ის მეფეა, მბრძანებელი. რომ ის ყველაზე ძლიერია, როგორც ფიზიკურად, ისე გონებრივად. ის ძლიერი აზროვნების მქონე ადამიანია. ისე ხომ არაა, როგორც სულელი ცხვრები, რომლებიც მხოლოდ ნდობის გამო კვდებიან? თითქმის. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ცხვრები ეჭვგარეშე ენდობიან თხას, რომელიც მათ საბოლოოდ სასაკლაოზე მიიყვანს. ადამიანი დასცინის ამას, მაგრამ არ იცის, რომ ისიც ასეთივე მახეშია, რომ ის ერთდროულად, როგორც ცხვრების ფარაა, ასევე თხაცაა. მას თავისი თავი მიჰყავს მახეში, მაგრამ ვერც ხვდება ამას. ამით ის კლავს თავის თავსაც და სხვებსაც. უფრო გლობალურად რომ ვიფიქროთ, ადამიანები უფრო მეტ შეცდომას ვუშვებთ - ადამიანებს სამყაროს ცოდნა და წარმოდგენა სიღრმისეულად გვაქვს და არა ზედაპირულად დალაგებული, მაგრამ ჩვენ უფრო მეტ შეცდომას ვუშვებთ. ჩვენ ვანადგურებთ უნიკალურ და, შესაძლოა, ერთადერთ პლანეტას, რომელზეც ცოცხალი არსებები განვითარდნენ. ჩვენ ვიცით, რომ ის ადრე თუ გვიან მაინც გაქრება, მაგრამ ნუთუ არ შეიძლება მისი შენახვა? ჩვენ გვაქვს აზროვნება, ჩვენ გამოვირჩევით, მაგრამ ამ შესაძლებლობებს არასწორად ვიყენებთ. ადამიანი მაინც ბოროტი, ეგოისტი და ცინიკური რჩება. და ნუთუ ეს კარგია ჩვენთვის? აქ არავინ არაა უდანაშაულო, ხელები სისხლში აქვს ყველა ჩვენგანს“-

„იუდას თხა“

ეს **ვაკო ნაკვეთაურია,** 12 წლის. ის 7 წლიდან ხატავს. მისი ნამუშევრები მისტიურია, ხოლო ავტორი იმითაა გამორჩეული, რომ ყველა ნახატს თავისებურ ახსნას უძებნის და საკუთარი ნააზრევი ფურცელზე გადააქვს. ახალგაზრდა ასაკის მიუხედავად, ვაკო ბუნებით ჰუმანისტია. უყვარს ადამიანები, მაგრამ ამავე დროს გარემოსა და ცხოველთა უფლებების დაცვას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

ვაკოს ნამუშევრები ფართო საზოგადოებამ ნიკო ფიროსმანის 160 წლის იუბილისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე იხილა. ის ამჟამად თბილისში ცხოვრობს და სწავლობს,

/გაგრძელება გვ.2/

C M Y K

„ადამიანი თავისი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ბუნებას კლავს, მაგრამ დაავიწყდა, რომ ისიც ბუნების ნაწილია"...

/დასაწყისი პირველი გვერდიდან/

თუმცა, ფესვებით დედოფლისწყაროელია. მამა - **ლუხუმ ნაკვეთაური** სოფელ ქვემო ქედიდანაა. წარმოშობით ქვემო ქედიდანაა ვაკოს დედაც - **ნინო პაპიაშვილი**. როგორც ნინო პაპიაშვილი გაზეთ „შირაქთან" საუბრისას აღნიშნავს, „ვაკომ ხატვა 7 წლის ასაკიდან დაიწყო. სულ ორი წლის მანძილზე სწავლობდა სამხატვრო სკოლაში. მას შემდეგ დამოუკიდებლად ხატავს. ხატავს თავისი წარმოსახვით, უყვარს სამყარო, ბუნება და ცხოველები. ასაკის მიუხედავად, მთელი შეგნებით ბუნებისდამცველია. ვაკო თანატოლებისგან გამორჩეული და განსხვავებული ბავშვია. ყველა საგანსა თუ მოვლენას სხვა კუთხით უყურებს და აღიქვამს. თავისი შეხედულებები აქვს და, თითქოს, კავშირიც მეორე სამყაროსთან".

„ნამდვილი ურჩხული" - „ის დაბრმავდა. ადამიანი თავის გადარჩენიდან, თავის დაკმაყოფილებაზე გადავიდა. ბრმაა, ის ვერ ხედავს, როგორ ნადგურდება ბუნება, ანადგურებს გარემოს და სხვებს. ასწლეულების მანძილზე ის უნდებოდა და ჯერ კიდევ უნდება თავისი ჯიშის შენარჩუნებას და იმის გარკვევას, რომ ფერი და სქესი არ გაძლევს სხვაზე ძალაუფლების უფლებას. ასევეა ცხოველებზეც, ნეტავ როდის მიხვდება რომ არამარტო ის არის ცოცხალი. როდის მიხვდება, რომ აზროვნების ქონა არ აძლევს სხვისი ექსპლოატაციის უფლებას - უაზრო, ცინიკური ექსპლოატაციის. საინტერესოა, როდის მიხვდება იმას, რომ ის თავსაც და თავის გარემოსაც კლავს. ის დააბრმავეს. დააბრმავეს მათ, ვინც უკვე ბრმები იყვნენ".

ვაკო ძალაუფლებითა და მატერიალური ღირებულებებით დაბრმავებულ ადამიანებს ღიად აკრიტიკებს და მოუწოდებს მათ, რომ გახდნენ ჰუმანისტები და იზრუნონ დედამიწაზე, რომელიც ჩვენი საერთო სახლია.

„თვითმკვლელობა" - „პირველი შეხედვით ნახატზე ადამიანია. ერთი მხრივ ეს ასეცაა, მაგრამ ნახატზე ბუნება არის გამოსახული, რომელიც შიგნიდან იწვება. მას თვალები უკვე აღარ აქვს,

მაგრამ მაინც, შენ, ადამიანს გიყურებს, იმას, ვინც ეს დამართა. თეთრი და ცარიელია მისი სახე, ისეთივე, როგორიც ის გაჩეხილი ტყეებია. ბოლი ქარხნებიდან, რომელიც ნავთობის მსგავს სითხედ იქცევა. და რისთვის? ადამიანი თავისი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ბუნებას კლავს, მაგრამ მას დაავიწყდა, რომ ისიც ბუნების ნაწილია".



„ნამდვილი ურჩხული"



„თვითმკვლელობა"

გაზეთი „შირაქი" პატარა მხატვარს წარმატებებსა და ზურგის ქარს უსურვებს შემოქმედების დიდსა და რთულ გზაზე.

ინგა შიოლაშვილი

უცნობი ფოტო ნაცნობი იერით?

24 ნოემბერს ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დარბაზში დროებითი გამოფენის „რკინიგზა ხაშურში -150" გახსნაზე მუზეუმმა საზოგადოების წინაშე პირველად წარადგინა ფოტო, რომელზეც, მათი აზრით, სხვა პიროვნებებთან ერთად, ნიკო ფიროსმანი უნდა იყოს გამოსახული.



ამ აზრს კი სხვადასხვა ფაქტით ამყარებენ:

* ფოტო აღმოჩნდა, სწორედ, ხიდირბეგიშვილების კოშკისა და ხაშურის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის უბანში, სადაც ფიროსმანი კონდუქტორად მუშაობისას ცხოვრობდა კერძო სახლში;

* ნიკო ფიროსმანაშვილი ხაშურში, რკინიგზაზე მუშაობდა 1890 წლის 14 აპრილიდან 1890 წლის 23 ოქტომბრამდე მემუხრუჭე კონდუქტორად №2167;

*ფიროსმანი ხაშურში 8 თვის განმავლობაში ცხოვრობდა, რაც საკმარისი დროა იმისთვის, რომ ფოტო გადაეღო;

*ფოტო არის პასპარტუზე, არის ფოტოსტუდიის პროდუქტი, დაბეჭდილია, სავარაუდოდ, მე-19 საუკუნის ბოლოს, ფოტოსტუდიაში;

*ხაშურის რკინიგზაზე მუშაობისას ის, სავარაუდოდ, 28 წლის იყო; ფოტოზე გამოსახულია, სწორედ, ამ ასაკის ადამიანი;

*მას ძალიან უყვარდა ევროპული ტანსაცმელი, მისი ჩაცმულობა ფოტოზე ნათლად ჩანს. სხვათა შორის, ფოტოზე გამოსახულ ყველა პიროვნებას (სავარაუდოდ, ოსტატებსა და შეგირდებს), ახურავთ, ან წინ უდევთ ამქრის წევრების ქუდები, გარდა ჩვენთვის საინტერესო პიროვნებისა;

ფოტოზე ფიროსმანი აღბეჭდილია სწორედ იმ წრის ადამიანებთან, რომელ წრეშიც ის მუდამ ტრიალებდა; პიროვნება, იოსებ ლომსაძე, ვისი ოჯახიდანაც ფოტო არის წამოღებული, დედის მხრიდან, არის შთამომავალი თევდორაშვილების ცნობილი ოჯახის, რომლებიც ძირძველი ხაშურელები და ვაჭართა წარმომადგენლები იყვნენ. ოჯახის დიდი პაპა, კოლია თევდორაშვილი ხელოვანი ადამიანი, ხაშურის თეატრის მსახიობი იყო; მუზეუმი ფოტოს ყველა მნახველს სთხოვს, ყურადღება გაამახვილოს მათ მიერ მინიშნებული პიროვნების სახეზე (ვარცხნილობა, წვერი, თვალის ჭრილი, ასიმეტრიული სახე, ყურის ფორმა და ა.შ.)

„ძვირფასო მეგობრებო, ბუნებრივია, გვესმის, რამხელა პასუხისმგებლობაა ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისგან ასეთი განაცხადის გაკეთება, მაგრამ, განსჯა საზოგადოებისთვის მიგვინდვია. ბედნიერები ვიქნებით, თუ ჩვენი ვარაუდების კიდევ უფრო განმტკიცებას შეეძლებთ" - წერია მუზეუმის გვერდზე.

რა ამყარებს ვარაუდს იმის შესახებ, რომ ხაშურში აღმოჩენილ ფოტოზე შესაძლოა ფიროსმანია გამოსახული?

„...ფოტოზე ფიროსმანი აღბეჭდილია სწორედ იმ წრის ადამიანებთან, რომელ წრეშიც ის მუდამ ტრიალებდა; პიროვნება, ვისი ოჯახიდანაც ფოტო წამოვიღეთ, იოსებ ლომსაძე, დედის მხრიდან, არის თევდორაშვილების ცნობილი ოჯახის შთამომავალი, რომლებიც ძირძველი ხაშურელები და ვაჭართა წარმომადგენლები იყვნენ. ოჯახის დიდი პაპა, კოლია თევდორაშვილი ხელოვანი ადამიანი, ხაშურის თეატრის მსახიობი იყო.." - ეს ერთი ვარაუდია, იმ მრავლიდან, რომელსაც აცხადებენ ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ახალაღმოჩენილ ფოტოსთან დაკავშირებით...

ახლადაღმოჩენილ ფოტოზე კომენტარები პროფესიონალებმა გააკეთეს:

ანზორ მაძღარაშვილი მრავალი წელია ფიროსმანის ცხოვრებას იკვლევს, იგი დიდი ხნის განმავლობაში იყო ფიროსმანის სახლ-მუზეუმის დირექტორი და ავტორია წიგნისა „ფიროსმანის გარემო"... ნიკო ფიროსმანის მუზეუმის თბილისის ფილიალი მან დაარსა და ფიროსმანის 14 ორიგინალი ანზორ მაძღარაშვილის თაოსნობით არის მოპოვებული, შეძენილი. ანზორ მაძღარაშვილი ამტკიცებს, რომ ფოტო ნახა და მისი აზრით, ეს ფიროსმანის ფოტო არ არის...

თვითნასწავლი, აღიარებული ახალგაზრდა მხატვარი სოფელ მირზაანიდან, ნიკო ფიროსმანის სახლ-მუზეუმის თანამშრომელი - **გელა ლოგჯანიძე:** „ვემხრობი ბატონ ანზორის სიტყვებს... გამომდინარე იქიდან, რომ ფიროსმანის პორტრეტი ბევრჯერ მაქვს დახატული, ფოტოს ხილვის დროს აუცილებლად მივხვდებოდი, ის რომ ფიროსმანი ყოფილიყო, მაგრამ ეგ განცდა არ დამეუფლა. რკინიგზაზე მოგეხსენებათ, მართლაც მუშაობდა და შესაძლებელიც არის, რომ ხაშურში მოხვედრილიყო, თუმცა ეს ვარაუდია... ვფიქრობ, ნიკალას უფრო ღრმა, სევდიანი, იმედიანი თვალები აქვს, ვიდრე ამ ფოტოზე აღბეჭდილ პიროვნებას.

სოლომონ ნადიმაშვილი, ხელოვნებათმცოდნე: - იქიდან გამომდინარე, რომ ნიკო ფიროსმანაშვილი ხაშურში 8 თვე მუშაობდა რკინიგზაზე, სავსებით შესაძლებელია, რომ ფოტოზე ნიკალა იყოს აღბეჭდილი...

1911 წელს ალექსანდრე დიღმელაშვილმა გადაიღო დავით სარაჯიშვილის დაკრძალვის პროცესია. იმ ფილმში დაფიქსირებულია ნიკალა, რაც დაადასტურა ლადო გუდიაშვილმა, 1970-იან წლებში... ფილმში ასახული ნიკალა უფრო ხნიერია, მაგრამ ფოტოზე ასახული მამაკაცი იერით ჰგავს, 20 წელია განსხვავება. ასევე, ცნობილია ნიკალას გვიანდელი ფოტო. შეიძლება შედარება. რაც შეეხება სამი ხელოვანის შესრულებულ ნიკალას ჩანახატურ პორტრეტებს, ისინი გვიანი პერიოდისაა.

გიორგი კაკაბაძე, ფიროსმანის ცხოვრების მკვლევარი: „ამ ფოტოდან ერთი პიროვნების ვინაობა მაინც უნდა ვიცოდეთ, რომ მისი ცხოვრების წლები შევადაროთ ფიროსმანის ცხოვრების წლებს. თუმცა, უიმისოდაც აშკარად ჩანს, რომ ეს არ გახლავთ ფიროსმანი. ჩვენ გვაქვს ფიროსმანის ადრინდელი ფოტო 1880 წელს გადაღებული, სადაც იგი 16-17 წლისაა და ნახავთ, რომ ფიროსმანს აქვს თხელი ტუჩები. გარდა ამისა, ტუჩის ქვემოთ აქვს მეჩხერი წვერი. ფიროსმანის ყველა მომავალ მკვლევარს მინდა გავუმხილო ერთი „საშინელი" საიდუმლო - 1910 წლამდე ფიროსმანი წვერს საერთოდ არ ატარებდა. ეს არის სტერეოტიპული აზროვნება, რომელსაც ჩვენ მივყვებით. გვგონია, რომ ის მუდამ ასეთი ღარიბი, მოტეხილი და წვერებიანი იყო. სინამდვილეში, არა. ფიროსმანი საკმაოდ შეძლებული მამაკაცი იყო, ევროპულად ეცვა. მას გრაფს ეძახდნენ. ძალიან არისტოკრატიულად გამოიყურებოდა. ის, რომ წვერს არ ატარებდა, ამის დასტური არის ტილოზე „ბეგოს კომპანია", გამოსახული ფიროსმანის ერთადერთი ავტოპორტრეტი, სადაც ის წვერის გარეშეა წარმოდგენილი"

შორენა ლეგბანიძე, ფიროსმანის ცხოვრების მკვლევარი: „ამ პერიოდში, ფიროსმანი უნდა ყოფილიყო 25-30 წლამდე ასაკის ახალგაზრდა. ამ ფოტოზე გამოსახული მამაკაცი აკმაყოფილებს ამ ასაკს. მაგრამ, საერთო იერი და გამომეტყველება, სუბიექტურად ჩემთვის, განსხვავებულია, ნაკვთებიც განსხვავებულია. ჩემმა კოლეგამ, ყურებზე და წვერ-ულვაშზე გაამახვილა ყურადღება. მე კი უფრო ცხვირის ნესტოებზე დავაკვირდი და შემიძლია ვთქვა, რომ ნიკო ფიროსმანს არ ჰქონდა აზიდული ცხვირი ნესტოები. გამომეტყველება, ტიპაჟიც კი განსხვავებულია ჩემთვის".

კაკლის ყოველწლიურად მზარდი მოსავალი სამთაწყაროში

დედოფლისწყაროში წელს უპრეცენდენტოდ მოსავლიანი კაკლის რთველი ჩატარდა. სოფელ სამთაწყაროში გაშენებულ კაკლის ბაღში 200 ტონაზე მეტი მოსავალი აიღეს. ჩანდლერის, ჰოვარდის და ლარას ჯიშების კაკლის ბაღები დედოფლისწყაროში, სოფელ სამთაწყაროში 83 ჰექტარ ფართობზე ბოლო წლებში სახელმწიფო დაფინანსებით გაშენდა.

სიახლეა ისიც, რომ მოსავლის ადგილზე დამუშავება წელს პირველად ხდება და ამისათვის სამთაწყაროში თანამედროვე სტანდარტების საწარმო ამოქმედდა. პროექტს შპს „რონი“ და მისი ხელმძღვანელი **გურამ ნაკაშიძე** ახორციელებენ. უახლოეს მომავალში ისინი კაკლის კიდევ 18 ჰექტარზე გაშენებას გეგმავენ. USAID-ის დაფინანსებითა და სოფლის განვითარების სააგენტოს ჩართულობით პროექტის საერთო ღირებულება 9 მილიონი ლარი იყო. ოფიციალური სტატისტიკით საქართველოში მხოლოდ 3000 ჰექტარი კაკლის ბაღია, რომელთაგან მოსავლიანი 1000 ჰექტარია.

როგორც სამთაწყაროში გაზეთ „შირაქს“ განუცხადეს, გასაყიდად გამზადებული კაკლის საბითუმო ფასი 8 ლარია. მაღალი მოთხოვნაა იტალიიდან და ესპანეთიდან. თუმცა, მოსავლის დიდი ნაწილი მაინც ქართულ ბაზარზე გაიყიდა.

გურამ ნაკაშიძე: „მოსავალს ნახევრადმექანიზებული წესით ვიღებთ. მართალია მანქანა კრეფს, მაგრამ თითოეულ კაკალს ადამიანის ხელში გავლა და წენგოს გაცილება მაინც სჭირდება. ამიტომ, რთველის დროს მნიშვნელოვანია ამინდების ხელშეწყობა. მოკრეფამდე თუ გაწვიმდება, ეს კარგია, რადგან წენგო უკეთესად გაიხსნება. ამ პროცესში 70-80 ადამიანი გვყავს დასაქმებული. ამჟამად 5 წლიანი ნერგების მოსავალი დაიკრიფა. ნორმალური მაჩვენებელია, თითო ძირზე საშუალოდ 12-15 კილოგრამი კაკალი მოიწია. ყოველწლიურად უმჯობესდება მოსავლიანობის მაჩვენებელი, რაც იმას ნიშნავს, რომ კარგად მივდივართ. აქვე მნიშვნელოვანია ითქვას ისიც, რომ 5 წლის განმავლობაში მოსავლიანობის მაჩვენებელი კიდევ უფრო მოიმატებს. ამიტომ, სამომავლოდ საჰექტარო მოსავლიანობას ვვარაუდობთ 6 ტონასა და მეტს. კარგ მოსავლად ითვლება ჰექტარზე 4 ტონიდან ზემოთ. ხარისხი ნორმალურია, ლებანი საღია. ჩანდლერი ძალიან კარგი ჯიშია, იტანს ადგილობრივ ბუნებრივ პირობებს, ფერდობზეა გაშენებული, სინესტე არ ჩერდება, საქართველოში ყველაზე მშრალ ადგილად ითვლება. აქედან გამომდინარე, არც დაავადებები გვაქვს. მოსავლის 70% მაღალფასიანი კალიბრის კაკალი გვაქვს, რომელიც ნორმალური, მსხვილი კაკალია, ეს კი მნიშვნელოვანია. მცირე ნაწილი გვაქვს დაბალფასიანი, წვრილი კაკალი.

– ბატონო გურამ, როგორია მოსავლის ზრდის სტატისტიკა წლების მიხედვით?

– პირველი მოსავალი 2019 წელს მივიღეთ, ჰექტარზე 3,5 ტონა. 2020 წელს 15 ტონა, 2021 წელს 80 ტონას მივუახლოვდით, ხოლო წელს 200 ტონაზე მეტი. თითქმის გასამმაგდა მოსავლიანობის მაჩვენებელი გასულ წლებთან შედარებით და ეს ნორმალურია. ზოგადად, ჩვენი მოსავალი განკუთვნილია საექსპორტოდ და უცხოეთის ქვეყნებში გასატანად, მაგრამ უნდა ითქვას, რომ საქართველოში ძალიან ბევრი იმპორტული კაკალი შემოდის. ამას ჩავანაცვლებთ ჩვენ და ვალუტა აღარ გავა ქვეყნიდან. საქართველოს ბაზარზე ვყიდით ჩვენს მოსავალს და ეს მნიშვნელოვანია ქართული ეკონომიკის განვითარებისთვის. ამიტომაც პრიორიტეტულია ადგილობრივი ბაზრის შევსება. ხოლო როცა შევძლებთ ადგილობრივი მოთხოვნის სრულად ათვისებას და მიწოდებას, მეტად იგრძნობს ჩვენი ქვეყანა. წინა წლებშიც ბევრი მირეკავდა, ბევრს ჰქონდა მოსავლის შეძენის სურვილი, მაგრამ გაყიდული იყო და ბევრი გამინაწყენდა. წელსაც, მოკრეფილიც არ გვქონდა, რომ უკვე გაყიდული იყო.

– ქართულ პროდუქციას ხშირად ხარისხს უწუნებენ. მიიჩნევა, რომ საქართველოში მაღალი ხარისხის პროდუქციის წარმოება ჭირს. თქვენ რეკორდულ მოსავალზე ისაუბრეთ, თუმცა, როგორია ხარისხი?

– ქართული კაკალი არაფრით არ ჩამოუვარდება ევროპული კაკლის ხარისხს. მაგრამ ეს ახალი დარგია ჩვენთვის, ფრთხილ მიდგომას და დიდ ყურადღებას საჭიროებს. შესაბამისი მეთოდების დაცვით უნდა მოვლა. წელიწადში ორჯერ ვატარებთ ფოთლის კვლევას, ყოველწლიურად მიწის ანალიზს. გაკეთებული გვაქვს წვეთოვანი მორწყვის სისტემა და ასე ვანარმოებთ ბაღის კვებას. სპეციალური დოზიფიკატორები გვაქვს, რომელიც სასუქს ანანილებს ნაკვეთების მიხედვით. მეცნიერულ საფუძვლებზე დაყრდნობით ვატარებთ ამ პროცესს, დოზებსა და ვადებს. ამიტომ გვაქვს კარგი შედეგი.

– რამდენიმე თვის წინ გახსენით ახალი გადამამუშავებელი საწარმო, რის შემდეგაც შეძლებთ თავადვე გააშროთ და დაბინავოთ თქვენი მოსავალი...

– წლევანდელი წელი წინა პერიოდისგან იმით განსხვავდება, რომ შემოდგომაზე გავხსენით კაკლის გადამამუშავებელი თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ქარხანა, რომელიც თავად ავაშენეთ. მომავალში ასევე გეგმაში გვაქვს შევიძინოთ დანადგარები, რომლებიც შეძლებენ კაკლის გატეხვას, გატეხილის დახარისხება-დარჩევას. ესეც ადგილობრივი ბაზრისთვის იგეგმება.

მოგროვებული მოსავალი მოგვაქვს გადამამუშავებელ ქარხანაში. დამუშავდება, გადადის საშრობში. შრობა ძალიან მნიშვნელოვანი და საყურადღებო პროცესია. არსებობს ფორმულა, რომლის მიხედვითაც მიწოდებულ ტემპერატურასა და ჰაერის ტენიანობას შორის თანაფარდობა უნდა იყოს. თუ ტენიანობა მაღალია, ტემპერატურაც მაღალი უნდა იყოს. დაბალ ტემპერატურაზე შრობა კარგია, მაგრამ თუ ტენიანობა არ გვაძლევს საშუალებას, მაშინ ტემპერატურას ვზრდით. შესაბამისი პირობების შექმნისთვის გვაქვს საჭირო აპარატურა. ასევე ვზომავთ როგორც დარჩეული კაკლის ტენიანობას, ისე დაურჩევლის. 5%-იანი ტენიანობა დასაშვებია და ამის შემდეგ კალიბრატორით ვახარისხებთ და ტომრებში ვყრით. ჩვენს ტექნიკას საათში, საშუალოდ, 4 ტონა ნედლი პროდუქციის გადამუშავება შეუძლია. შემდგომ ეტაპზე დაგეგმილი გვაქვს საშრობების კიდევ დამატება. შეგვიძლია წარმადობა გავზარდოთ 50-60%-ით და მეტით. აქ სოფელში, ჩვენს ირგვლივ კიდევ პატარა ბაღებია, რომელსაც ასევე ჩვენ გადავამუშავებთ. ისინი ჩვენს იმედზე არიან, გველოდებიან და გვერდში უნდა დავუდგეთ. მოგეხსენებათ, კაკლის ბაღი 80 ჰექტარზე ქვემოთ რენტაბელური არ იქნება, ამიტომაც მათთვის ეს პირობები აქამდე ხელმისაწვდომი არ იყო. ეს ფრანგული ძვირადღირებული ტექნიკაა, ამის შეძენას წვრილი ფერმერები ვერ შეძლებენ და ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ ან ჩავიბაროთ, დავამუშავოთ და ჩვენ გავყიდოთ, ან მათ დავუმუშავოთ და მივცეთ, რომ თავად გაიტანონ ბაზარზე.

– ყველა დარგი მუშა ხელის გარდა სპეციალისტების დეფიციტზეც საუბრობს. თქვენ რა გამოწვევების წინაშე ხართ ამ პროცესში?

– მეკაკლეობა ახალი დარგია, ამიტომ სპეციალისტების სერიოზული დეფიციტია ამ სფეროში. თითქმის არ არსებობენ. ამიტომ, მიწევს უცხოელი კონსულტანტებისა და სპეციალისტების ჩართვა. წელიწადში 10 000 ევრო ესპანელებს რატომ უნდა გადავუხადო, თუკი ადგილზე იქნება ქართველი მცოდნე სპეციალისტი, რომელიც მომემსახურება. გაცილებით იაფიც დაჯდება ადგილობრივი სპეციალისტის ჩართულობა. მეორე ხელისშემშლელი ფაქტორი და გამოწვევა ჩვენთვის არის წყალი. ჩვენ გვაქვს ჩვენი და სოფლის წყალსაქაჩი, რომლითაც 100-მდე ოჯახი სარგებლობს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ეს ძვირი წყალია, დიდი ხარჯი აქვს. მორწყვა მეწარმეს და გლეხს ასე ძვირი არ უნდა უჯდებოდეს!“.

საკრებულოში ოპოზიცია გაერთიანდა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოში ოპოზიცია გაერთიანდა. „ნაციონალური მოძრაობა“ სოსო გოგაშვილის პარტიის დეპუტატით გაძლიერდა. „სახალხო პარტიის“ ერთადერთი წარმომადგენელი და სიის პირველი ნომერი შალვა ბატიაშვილი ნაციონალური მოძრაობის ფრაქციას შეუერთდა. ბატიაშვილი მედიასთან საუბრისას განმარტავს, რომ ეს მხოლოდ საკუთარ მუნიციპალიტეტზე ზრუნვით გააკეთა. ახალი ფრაქცია უკვე დარეგისტრირდა, თუმცა ოპოზიციისთვის ეს მხოლოდ იმას ცვლის, რომ ამ ფრაქციას კიდევ ერთი თავმჯდომარის მოადგილე ეყოლება და გოგაშვილის დეპუტატი მაღალანაზღაურებად თანამდებობას დაიკავებს, მისი შრომითი სარგო ყოველთვიურად 1760 ლარი იქნება.

ამქამდე „სახალხო პარტიის“ სიის პირველი ნომერი საკრებულოში ანაზღაურებად თანამდებობას არ იკავებდა. ოპოზიციური ფრაქციის თავმჯდომარე კვლავ ლევან ბაღაშვილი იქნება, მოადგილეები კი ლევან იაკობიშვილი და ახლადმიღებული შალვა ბატიაშვილი.

დედოფლისწყაროს საკრებულოს აპარატში გაზეთ „შირაქს“ ეუბნებიან, რომ ახალი ფრაქცია „ნაციონალურმა მოძრაობამ“ 18 ნოემბრიდან დაარეგისტრირა.

„მანამდე ერქვა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, ახლა შეუერთდა უფრაქციო საკრებულოს წევრი და უწოდეს „ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია“. კანონმდებლობით ფრაქცია რეგისტრაციის დღიდან ძალაშია, ანუ 18 ნოემბრიდან. თუმცა, ბიუროს სხდომებზე ახლა გადის და რადგან მეორე მოადგილეც ეკუთვნით, საკრებულოს სხდომაზე ეს ცნობად მიიღეს,“ - აცხადებს საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ფიროსმანაშვილი.

ოპოზიციაში განმარტავენ, რომ ეს არ ნიშნავს გაერთიანებას უშუალოდ პატიმრობაში მყოფ გოგაშვილთან. სუსის ყოფილ მაღალჩინოსანს „ნაციონალური მოძრაობის“ ადგილობრივი წევრებიდან ზოგი პირადად იცნობს, ზოგიც-არა. მიუხედავად ამისა, ამტკიცებენ, რომ პოლიტიკურ ძალებს ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ხედვები აქვთ.

შალვა ბატიაშვილი: „ერთობლივად მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ დავმატებოდი მათ ფრაქციას და ერთად გვემუშავა ადგილობრივ საკითხებზე. ეს ჩემი გადაწყვეტილება არანაირად არ ნიშნავს იმას, რომ სოსო გოგაშვილი და „ნაციონალური მოძრაობა“ ერთად თანამშრომლობენ და ერთი მიზნისკენ მიდიან.“

ლევან ბაღაშვილი (ფრაქციის თავმჯდომარე): „საერთოდ არ ვიცნობ გოგაშვილს. პირადად არ მინახავს, არც შევხვედრივარ... ჩვენ გავერთიანდით მუნიციპალიტეტის გულისთვის და არ გვაერთიანებს რაიმე იდეოლოგია. დიდი პოლიტიკა რაიონების დონეზე არ ჩამოდის“.

ლევან იაკობიშვილი (ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე): „მათთან ჩვეულებრივი, ნორმალური ურთიერთობა გვქონდა, როგორც ოპოზიციას. ახლა უკვე ერთად ვიქნებით, უფრო მეტად გავძლიერდებით და შევუტევთ „სამთავრობო ლოჟას“. გოგაშვილთან „ნაციონალურ მოძრაობას“ საერთო არ გვაქვს. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი სოფლიდანაა, პირადადაც ვიცნობ, ამ ნაცნობობას მნიშვნელობა არ აქვს“.

ნუგზარ პაპიაშვილი (საკრებულოს თავმჯდომარე): „სოსო გოგაშვილის მხარდაჭერით საკრებულოში შემოსული ერთადერთი დეპუტატი სამომავლოდ ირჩევს „ნაციონალურ მოძრაობას“. ეს ერთ დღეში მიღებული გადაწყვეტილება არ არის. თავიდანვე, ბატონი გოგაშვილის ოპოზიციაში გადასვლის დღიდან ჩანაფიქრი იყო, რომ ერთიანი ძალით ებრძოლათ ხელისუფლებასთან.“

ნიკოლოზ ჯანიაშვილი („ქართული ოცნების“ რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე): „ისევ ისეთი ძალთა განლაგებაა საკრებულოში, 24 სახელისუფლებო დეპუტატი და 6 ოპოზიციური. უბრალოდ, ყველაფერს დაერქვა თავისი სახელი. სოსო გოგაშვილი და მისი პარტია როდესაც არჩევნებში მონაწილეობდნენ, „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ იყვნენ და „ნაციონალური მოძრაობის“ ნარატივს მიჰყვებოდნენ. ეს არავისთვის და, მითუმეტეს, დედოფლისწყაროელებისთვის უცხო არ ყოფილა. უბრალოდ, ახლა მოხდა დოკუმენტურად იმის დადასტურება, რაც ისედაც ყველამ იცოდა. ეს ორი პოლიტიკური ძალა ისედაც ჩვენს წინააღმდეგ ერთ ნავში იყო, ნავში, რომელსაც ძირი გახვრეტილი აქვს და ფსკერისკენ მიექანება“.

„შირაქმა“ არქივში ერთ საინტერესო დეტალს მიაგნო. „სახალხო პარტიის“ დეპუტატი **შალვა ბატიაშვილი** საკრებულოში მოხვედრამდე, 2021 წელს წინასაარჩევნო პერიოდში, მკაფიოდ განმარტავდა, რომ მისი ხმები ნაციონალური მოძრაობისკენ არ წავიდოდა, რადგან მათ კანდიდატს მხარს არ უჭერდა. ვინაიდან, პარტიას მერობის კანდიდატი არ ჰყავდა, მედიამ დაუსვა კითხვა, მათი ამომრჩეველი ოპოზიციის, ანუ ნაციონალური მოძრაობის კანდიდატს დაუჭერდა მხარს, თუ სახელისუფლებოს. იმხანად, ბატიაშვილი გამორიცხავდა ნაციონალურ მოძრაობასთან თანამშრომლობას და ამბობდა, რომ ორივე პოლიტიკური ძალა მათთვის ერთი და იგივეა.

გვერდი მოამზადა
ილია მარტყოფლიშვილი

ქიზიყის დიდი ჭირისუფალი

გაზეთი „შირაქი“ აგრძელებს დედოფლისწყაროს გამოჩენილი მოღვაწეების თქვენთვის გაცნობას. ამჯერად გთავაზობთ ცნობილი ქართველი პედაგოგის, სახალხო განათლებისა და საზოგადო მოღვაწის, მწერლის, მეცნიერის, დამსახურებული მასწავლებელის - ***ანტონ ნატროშვილის*** *პროფილს, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის ერის სულიერებისა და ეროვნულობის გადარჩენაში.*

ანტონ ნატროშვილი იმ ქართველ მამულიშვილთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთაც ი.ჭავჭავაძის გვერდით დარაზმულებმა, საკუთარი მხრებით ატარეს საქართველოს ბედი და ვისაც უნდა ვუმადლოდეთ ერის სულიერებას და საერთოდ, ყოველივე ეროვნულის გადარჩენას. სამწუხაროდ, დღეს ცოტა ვინმეს თუ ახსოვს, ვინ იყო ანტონ ნატროშვილი, ნაკლებად იცნობენ მას მშობლიურ ქიზიყშიც.

ანტონ ნატროშვილი დაიბადა სოფელ ზემო მაჩხაანში 1852 წელს.

მამა – ივანე ნატროშვილი მღვდელი იყო. დედა-თეონა, გურჯაანელი მღვდლის ქალიშვილი. ანტონის მამა ხვნა-თესვას, მევენახეობას და მეცხოველეობას მისდევდა. ანტონი და მისი უფროსი ძმები მამასთან ერთად შრომობდნენ და ბავშვობიდანვე კარგად იცნობდნენ სოფლის მეურნეობის იმ დარგებს, რომელსაც ქიზიყის მცხოვრებნი ეწეოდნენ.

ივანე ნატროშვილი სწავლა-განათლების დიდი პატივისმცემელი იყო და ყველა თავის შვილს მიაღებინა განათლება.

8 წლის ანტონი თელავის სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს, სადაც მისი ორი უფროსი ძმა სწავლობდა. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ანტონ ნატროშვილი შედის თბილისის სასულიერო სემინარიაში.

თბილისის სასულიერო სემინარიაში გამეფებული იყო ყაზარმული რეჟიმი, უაზრო ზეპირობა, სქოლასტიკა (სქოლასტიკა: ცხოვრებასა და პრაქტიკას მოწყვეტილი ცოდნა, უსაგნო მსჯელობა). აღმზრდელ-მასწავლებლები, რექტორი და ინსპექტორი რუსი მოხელე-მონარქისტები იყვნენ. ეს „ანაფორაგადაცმული“ (როგორც ანტონ ნატროშვილი იხსენებდა) ჟანდარმები მოსწავლეებს ყოველგვარად ავიწროებდნენ და დევნიდნენ ქართულ ენას.

„ჩემი მოსწავლედ ყოფნის დროს,-წერს ანტონ ნატროშვილი,-ტფილისის სემინარიაში მოხდა მოსწავლეთა აჯანყება „ბუნტი“ რომლებიც მოითხოვდნენ ბუნებისმეტყველების, ახალი ენების სწავლის შემოღებას, მათემატიკის სწავლის გაფართოებას, უნივერსიტეტში შესვლის უფლებას, ბურსაში (ბურსა: მე-18-19 სს საქართველოში სასულიერო სემინარიის საერთო საცხოვრებელი) სმა-ჭამის და კვება-ცხოვრების გაუმჯობესებას. ამ მოძრაობაში როგორც ყველა, მეც აქტიურ მონაწილეობას ვიღებდი“.

სემინარიის წლები ანტონ ნატროშვილმა მკაცრ რეჟიმთან ერთად დიდ ეკონომიკურ სივიწროვეში გაატარა. აი, როგორ იგონებს იგი ამ წლებს: **„ტფილისის სემინარიაში დაგლეჯილი და დაფლეთილი წუღებით დავდიოდი, მშიერი მუცლით ვაღამებდი, ცარიელი ხმელი პურიც არ მქონდა“.**

სასულიერო სემინარია ანტონ ნატროშვილმა პირველი მოსწავლის სტატუსით დაამთავრა და არჩეულ იქნა სემინარიის მასწავლებელთა კორპორაციისაგან სახელმწიფო ხარჯზე გასაგზავნად ყაზანის სასულიერო აკადემიაში.

ხალხოსნური იდეებით გატაცებული ანტონ ნატროშვილი თავისსავე სოფელში აპირებდა სკოლის მასწავლებლობას, მაგრამ სემინარიის რექტორმა დაარწმუნა, ყაზანს გამგზავრებულიყო, ანტონი დათანხმდა, რადგან იქ თავისი და-ნატალია ეგულებოდა პოლკოვნიკ მოსკვინზე გათხოვილი.

ყაზანის სასულიერო აკადემიაში ანტონ ნატროშვილმა პირველი კურსიდანვე მიიქცია ლექტორთა ყურადღება. მის მიერ შესრულებული სავალდებულო თემა „პლატონის იდეები“ საუკეთესოდ დაწერილი აღმოჩნდა.

1877 წელს მან მაგისტრის ხარისხით დაამთავრა ყაზანის სასულიერო აკადემია და ითხოვა პედაგოგობა თბილისის სემინარიაში, მაგრამ როგორც „ბუნტში“ შემჩნეულს, უარი უთხრეს და გაამწესეს სამარის სასულიერო სემინარიის ფსიქოლოგიის და პედაგოგიკის მასწავლებლად.

1885 წელს მან მუშაობა დაიწყო თბილისის სასულიერო სასწავლებელში, სადაც დაჰყო სრული 34 წელი. 1918 წელს სასწავლებელი სასულიერო სემინარიას შეუერთდა და ე.წ. მერვე სასულიერო გიმნაზიად გადაკეთდა. გიმნაზიის მოსწავლეებმა „პატრონად“ ანტონ ნატროშვილი მოინდომეს და შემდეგი თხოვნით მიმართეს საკათალიკოსო საბჭოს: **„ჩვენ გვინდა გამოცდილი, დამსახურებული და ყველასგან პატივისცემით მიღებული, ჩვენზედ დაუღალავად მზრუნველი ადამიანი... და ეს კეთილი და ბრწყინვალე ჭაღარით მოსილი ადამიანი არის ბ-ნი ნატროშვილი, იგი უნდა იყოს ჩვენს პატრონად, დირექტორად.“**

გიმნაზიაში მასწავლებლად ანტონ ნატროშვილმა მიიწვია გიორგი ლეონიძე, რომელიც მისი მოსწავლე იყო სასულიერო სასწავლებელში.

აი, როგორ იგონებს პოეტი ამას: **„მე მასწავლებლობა აზრადაც არ გამივლია, მხოლოდ ერთ დღეს ჩემთან ბინაზე მოვიდა ბ-ნი ა. ნატროშვილი და მთხოვა მასთან მეთანამშრომლა. მეც მისი პატივისცემით დავთანხმდი“.** აღსანიშნავია, რომ გ.ლეონიძე ასწავლიდა სამ საგანს: ქართულ ენას, გეოგრაფიას და ბუნებისმეტყველებას.

ანტონ ნატროშვილის ნამოწაფართა შორის მრავალი სახელოვანი ადამიანი იყო: ექიმი პროფესორი გრიგოლ მუხაძე, ცნობილი ინჟინერი გრიგოლ ქურდიანი, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის სახ. უნივერსიტეტის დაპროექტება-აშენებაში.

1923 წელს ანტონ ნატროშვილი მშობლიურ ზემო მაჩხაანში დაბრუნდა. სოფელმა იგი მოსამართლედ აირჩია. პარარელურად ქვემო მაჩხაანის შვიდწლედში მასწავლებლად მუშაობდა. ანტონ ნატროშვილი და დიმიტრი მაჩხანელი (დიმიტრი ნადირაძე) - ეს ქიზიყის ორი დიდი მოჭირნახულე შვილი, რომ იტყვიან ხელჩაკიდებული ერთგულად მუშაობდა, საქმით და კალმით იბრძოდა ამ მხარის ასაღორძინებლად.

აი, რას წერს ერთ თავის კერძო წერილში დიმიტრი მაჩხანელი ანტონ ნატროშვილს: **„შენ, როგორც ქიზიყის მიწა-წყლის ძუძუთი აღზრდილი და მისი ცნობილი შვილი, კარგი იქნებოდა მოსულიყავი და ყოველივე ადგილობრივ გამოგვერკვივნა და გადაგვაწყვეტა ქიზიყის სოფლის წარმომადგენელთა თანდასწრებით“.**

სწორედ დიმიტრი მაჩხანელისა და ანტონ ნატროშვილის თაოსნობით დაარსდა მატყლის საწყობი ქვემო მაჩხაანში, ასევე სამომხმარებლო კოოპერაცია-დეპო, რომლის დახმარებითაც მოსახლეობას შეეძლო თავისი პროდუქცია ჩარჩ-ვაჭრების გვერდის ავლით გაეყიდა, სავაჭრო შემნახველ - გამსაღებელი „კასსა“ და რაც მთავარია, სწორედ მათ ითავეს მაჩხაანში პირველი ქსენონის (საავადმყოფოს) და აფთიაქის მშენებლობა (დიმიტრი მაჩხანელმა საკუთარი დიდი სახლი დაუთმო საავადმყოფოს).

ანტონ ნატროშვილის კალამს ეკუთვნის 1893 წელს დაბეჭდილი „კრებული არითმეტიკის ამოცანებისა“, რომელიც მოწონებული და მიღებული იყო სახელმძღვანელოდ პირველდაწყებითი სასწავლებლებისა და სასულიერო სკოლებისათვის. განსაკუთრებით ბევრი სტატია უძღვნა ანტონ ნატროშვილმა სოფლის მეურნეობის აღმავლობის საქმეს.

1895 წელს ჟურნალ „კავკაზსკოე სელსკოე ხოზიაისტვოს“ 99-ე ნომერში დაიბეჭდა მისი წერილი, რომელშიც „დედოფლის არხის“ (ალაზნის არხი) აღდგენასა და ალაზნის ველის მორწყვაზე ლაპარაკობს (ალაზნის არხი აგებული იყო მე-12 ს-ში. სიგრძე-199 კმ არხი რწყავდა 53 ათას ჰა. მიწას. საბჭოთა ხელისუფლების დროს (1933 წ) აშენდა თანამედროვე საინჟინრო ნაგებობა-ალაზნის მაგისტრალური სარწყავი არხი). ამ მოთხოვნას ასე ასაბუთებს: **„ეს არხი, გარდა იმისა, რომ გაადიდებს ყურძნისა და პურის მოსავალს, შესაძლებლობას მისცემს კახეთსა და ქიზიყს, რომ გაშენდეს, განსაკუთრებით ალაზნის ველზე, მაღალ კულტურული ძვირფასი მცენარეები: შაქრის ლერწამი, თამბაქო, ბამბა, ნუში, ფშატის და თუთის ხეები“.**

ამავე ჟურნალის ერთ-ერთ ნომერში დაიბეჭდა ანტონ ნატროშვილის წერილი „კახეთის რკინიგზის შტოს საკითხისთვის“, სადაც ავტორი კახეთისთვის დიდად სასარგებლო და საჭირო საქმეს-რკინიგზის ხაზის გაყვანას მოითხოვს.

ანტონ ნატროშვილი საინტერესო მოხსენებით წარსდგა სრულიად რუსეთის ბუნებისმეტყველთა მე-13 ყრილობაზე, სადაც მან ისაუბრა იმის შესახებ, თუ როგორ წააწყდა შემთხვევით ივრის ხეობის დათვალიერებისას ჭაჭუნას ტყეში აბრეშუმის პარკებს ბუნებრივ პირობებში.

ანტონ ნატროშვილს მისი თანამედროვენი მიიჩნევდნენ საქართველოს ისტორიისა და კულტურული ძეგლების საუკეთესო მცოდნედ. თვითონ ის კი თავის უპირველეს მოვალეობად სწორედ საქართველოში სამსახურს მიიჩნევდა, იმ საქართველოსადმი, რომლის შესახებაც ასე წერდა: **„საქართველოს ვაზს ადარებენ, რომელიც მძლავრად შემოხვევია ჭიგოს. ქარიშხალი სცემდა ყოველი მხრიდან, ჭიგო ირხეოდა, ვაზი იდრიკებოდა, ხან ერთ, ხან მეორე მხარეს, მაგრამ არ ილეწებოდა, რამდენჯერ განრთხმია მიწას, რამდენი ფოთოლი და ლერწი მოჰგლეჯია, ფესვებს კი არასოდეს მოსწყდომია.“**

მას ფეხით ჰქონდა შემოვლილი კახეთის და მშობლიური ქიზიყის ეკლესია-მონასტრები.

1898 წელს გაზეთ „ივერიაში“ ფსევდონომით „ა.ნ.“ დაიბეჭდა წერილი ოზაანის „ამაღლების“ ტაძრის შესახებ, სადაც იგი წერს: **„საჭიროა აღდგენა და განახლება დიდებულისა წმინდა ამაღლების მონასტრისა, რომელიც ჯერ კიდევ მთლადა სდგას. ეს მშვენიერის ხელოვნების მონასტერი, ჯერად არცნობილი, ჩვენს და უცხო მწერლობაში, მდებარეობს ქიზიყში, სოფელ ოზაანის ახლოს, ტყეში. აქ ჯერ კიდევ კარგად დაცულია თამარ დედოფლის და დავით სოსლანის სურათები კედელზედ“.**

ანტონ ნატროშვილის მიერ გამოქვეყნებული წიგნებიდან აღსანიშნავია „ათონის ივერიის მონასტრის მოკლე ისტორია“ (1884 წელი), „ერეკლე მეორე - ქართველთა მეფე“ (1898) და ფუნდამენტური ნაშრომი „მცხეთა და მისი ტაძარი სვეტიცხოველი“, რომელიც გამოიცა 1901 წელს და ამჟამად რარიტეტული წიგნია. აღსანიშნავია, რომ ეს სქელტანიანი ნაშრომი, მან საკუთარი სახსრებით გამოუშვა და წიგნის რეალიზაციით შეგროვილი თანხაც მცხეთის ტაძრის რესტავრაციის ფონდში გადარიცხა.

ნაშრომი 500-ზე მეტ ნაბეჭდ გვერდსა და უამრავ უნიკალურ ილუსტრაციას შეიცავს. როდესაც გასული საუკუნის 20-იან წლებში რუს მეცნიერთა და ხუროთმოძღვართა ჯგუფი ჩამოსულა საქართველოში, მათ იმდროისთვის სამხრეთ კავკასიასა და საქართველოში გაერთიანებულ სამეფოს უმაღლეს წარმომადგენელთან, სერ ჯონ ოლივერ უორდროპთან ერთად მოუსურვებიათ მცხეთისა და სვეტიცხოვლის დათვალიერება. როგორც კულტურული ძეგლების საუკეთესო მცოდნე, მათი მეგზური სწორედ ანტონ ნატროშვილი ყოფილა. როცა ორივე უორდროპს მოუსმენია მისთვის და უნახავს წიგნი, აღფრთოვანება ვერ დაუფარავს და უთქვამს: **„კარგი იქნებოდა, ეს წიგნი, კემბრიჯის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაშიც რომ ინახებოდესო.“** ანტონსაც უჩუქებია ბრიტანელი დიპლომატისა და მთარგმნელისათვის წიგნის ერთი ეგზემპლარი, რომელიც ამჟამად ამ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის საგანძურშია. ამ წიგნით აღფრთოვანებული იყვნენ: ექვთიმე თაყაიშვილი, თედო ჟორდანია, მოსე ჯანაშვილი, ვასილ ბარნოვი.

სამარის სასულიერო სემინარიაში გამწესებამდე ზაფხულში, მცირე ხნით საქართველოში ჩამოსული ანტონ ნატროშვილი დაქორწინდა ელისაბედ ნაცვლიშვილზე - რუსეთში, საქართველოს ელჩის გაიოზ ნაცვლიშვილის შვილიშვილზე. მათ 5 შვილი ჰყოლიათ: ელენე, ლიდია, გიორგი, სოსო (ადრე გარდაიცვალა) და ილუშა. მშობლებმა ყველა შვილს საფუძვლიანი განათლება მისცეს. ლიდიას პეტერბურგის ქალთა უმაღლესი სასწავლებლის საისტორიო-ლიტერატურული ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული. იგი ძალიან ლამაზი ქალი ყოფილა. მისი პორტრეტი ცნობილ რუს მხატვარს, ფიოდორ ბრონნიკოვს დაუხატავს, რომელიც ერმიტაჟშია დაცული.

ანტონ ნატროშვილი ბევრს ზრუნავდა ქართველი ახალგაზრდების აღზრდისა და სწორ გზაზე დაყენებისათვის, სწორედ ამით არის უდიდესი მამულიშვილი, საქართველოს ერთგული შვილი, მისი უსაზღვრო, მოსიყვარულე, ქართული სულიერების, ქართული ნიჭის შორს გამტანი.

ასე ცხოვრობდა ანტონ ნატროშვილი - ფართო ინტერესებით, ღირსეულად. არც ეტყობოდა სოლიდური ასაკი, თვითონაც ვერ ამჩნევდა მას. ყოველდღე დადიოდა გიმნაზიაში, თავის მოსწავლეებთან, ძალღონით, ენერგიით, ახალი იდეებით, მიდიოდა წელში გამართული, მოღიმარე, მხნე.

„ქიზიყის დიდი ჭირისუფალი“, როგორც ანტონ ნატროშვილს გიორგი ლეონიძემ უწოდა, გარდაიცვალა 1930 წელს. დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

მოამზადა
დალი გაღაშვილმა,
დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სპეციალისტმა.

ქუჩნაკისტური პროდუქტის შექმნა თუ ადამიანების უფლებების დაჩაგვევა?

ადამიანები შეცდომებზე სწავლობენ. ანდაც ცდილობენ, რომ ისწავლონ. რა პროფესიისაც უნდა იყოს ის, პროფესია უფლებებთან ერთად, მას მოვალეობებსა და ეთიკურ ნორმებს უწესებს, რომლებიც სხვისი თუ არა, შინაგანი „დაუწერელი კანონებით“ უნდა დაიცვას. არახალია, რომ პროფესიული სტანდარტები უნდა იყოს ღირებული და მას პატივს უნდა სცემდეს ნებისმიერი პროფესიის წარმომადგენელი.

ჩვენთვის, მედიის წარმომადგენლებისთვის, ჩვენს პროფესიაში მიმდინარე ცვლილებები, განსაკუთრებით საინტერესოა. სამწუხაროდ, ხშირად ვაწყდებით ისეთ ფაქტებს, სადაც მედია ირიბად თუ პირდაპირ, ნებსით თუ უნებლიედ არღვევს ადამიანის უფლებებს. ამ საკითხთან დაკავშირებით დიდი გამოხმაურება ჰპოვა ერთ-ერთი ტელევიზიის ჟურნალისტის მიერ სოციალურ ქსელში ჟურნალისტური პროდუქტის განხილვისას დაწერილი კომენტარების ავტორებთან დარეკვისა და გასაუბრების ფაქტმა, რომელიც სიუჟეტის სახით მიეწოდა მაყურებელს.

რა არის პრობლემა?

უდავოა, რომ ჟურნალისტის საქმიანობის ნაწილია საკონტაქტო ინფორმაციის დამუშავება და სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოპოვება-გადამოწმება. შესაბამისად, ის არავის აბარებს ამაზე ანგარიშს, მათ შორის არც რომელიმე უწყებას. მაგრამ, საკითხავია ისიც, თუ რა მიზანი აქვს წყაროსთან დაკავშირებას და რა სტანდარტს უნდა აკმაყოფილებდეს ჟურნალისტი ამ დროს. თუკი ინფორმაცია წყაროს ბულინგისთვის ანდაც მისი დაშინებისთვის ხდება, ეს არაა ჟურნალისტური პროდუქტის შექმნა. ეს ე.წ „საქმის გარჩევაა“, რაც ლოგიკურია, რომ პირდაპირ ეთერში არ უნდა გადიოდეს. რა თქმა უნდა, ჟურნალისტს აქვს უფლება პასუხის გასცეს იმ ადამიანებს, ვინც მას აბულინგებს. მაგრამ, სასურველია და აუცილებელიც, რომ ეს პასუხი დაფიქსირდეს იმავე სოციალურ ქსელში. გარდა ამისა, ჟურნალისტს აქვს სხვა ბერკეტებიც, როგორიცაა სიძულვილის შემცველი კომენტარების დარეპორტება ანდაც რედაქციისთვის მათი წაშლის მოთხოვნა. გასულ სიუჟეტში საკამათო ძირითადად იყო სტრუქტურა, რომლის აგების პროცესშიც ავტორი ასცდა ჟურნალისტიკის პროფესიულ სტანდარტებს. მედია ასე არ მუშაობს. ჟურნალისტი (და არამხოლოდ) პირდაპირი ეთერიდან „საქმეს არ უნდა ურჩევდეს“ მაყურებელს, ხალხს, მსმენელს.

გარდა ამისა, მწვავედ დაისვა პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხიც. საზოგადოებას, დაინტერესა, თუ როგორ მოიპოვა ჟურნალისტმა კომენტარების ავტორთა პირადი ტელეფონის ნომრები, რაც, კონსტიტუციურად დაცული და ხელშეუხებელია. ჟურნალისტმა ამას, პირადი ნაცნობობითა თუ საკონტაქტო წრის არსებობით გასცა პასუხი.

როგორც აღვნიშნეთ, ეს ჟურნალისტის საქმიანობის ნაწილია, რომელიც არ უნდა გასცდეს კანონის ფარგლებს. მან, პირიქით, მაქსიმალურად უნდა შეუწყოს პირადი ინფორმაციის დაცვას ქვეყანაში. პერსონალურია ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით.

პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს, მათი ტრანსსასაზღვრო შინაარსის გათვალისწინებით, ყოველდღიურ ცხოვრებაში ვაწყდებით — სამსახურში, ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, საქონლის ან მომსახურების შეძენისას, მოგზაურობისას ან ინტერნეტში ყოფნის დროს. თუმცა, მოქალაქეებს არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია პერსონალურ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე და ამ კუთხით არსებულ უფლებებზე. აუცილებელია, საზოგადოებას მიეწოდოს ინფორმაცია მათი უფლებების შესახებ, პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხებზე მომუშავე სპეციალისტებს კი მიეცეთ პროფესიულ თემებზე მსჯელობის შესაძლებლობა. მოქალაქეებმა როგორც წესი, არ იციან, თუ როგორ უნდა მოიქცნენ იმ შემთხვევაში, თუ მათი უფლებები ირღვევა. მათ ასევე არ აქვთ ინფორმაცია, თუ რა ფუნქციები აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ეროვნულ უწყებას მათ ქვეყანაში.

როგორ სდგება პერსონალურ მონაცემთა დაცვა საქართველოში?

საქართველოში პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხები სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის კომპეტენციას განეკუთვნება. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანოა, რომელიც, როგორც პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის უფლებამონაცვლე, საქართველოში 2019 წლის 10 მაისიდან ამოქმედდა. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა მომხდარ ფაქტის შესახებ განაცხადა და აღნიშნა, რომ „აღნიშნული ჟურნალისტის მიერ განხორციელებული სატელეფონო ზარის ადრესატების პერსონალური მონაცემების დამუშავების (მოპოვების) ფაქტზე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა საკითხის შესწავლა დაიწყო. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური აღნიშნულ საკითხს კანონით დადგენილ ვადაში შეისწავლის და შედეგების შესახებ საზოგადოებას აცნობებს.“

* * *

ზემოთ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ განცხადება გააკეთა, რომლიდან ამონარიდსაც უცვლელად გთავაზობთ:

„ქარტიის საბჭო, პირველ რიგში, მიუთითებს, რომ მაყურებლის მხრიდან კრიტიკის მიზნით გამოთქმული თუნდაც აგრესიული კომენტარები, ან შეურაცხმყოფელი გამონათქვამები შეიძლება სულაც არ იყოს სიძულვილის ენა და ყველა კრიტიკული, შეურაცხმყოფელი და თუნდაც უცენზურო კომენტარის სიძულვილის ენად შეფასება დაუშვებელია.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1997 წელს მიღებული რეკომენდაციით, „სიძულვილის ენა მოიაზრებს გამოხატვის ყველა ფორმას, რომელიც ავრცელებს, აქეზებს, ხელს უწყობს ან ამართლებს რასობრივ შუღლს, ქსენოფობიას, ანტისემიტიზმს ან შეუწყნარებლობაზე დაფუძნებულ შუღლის სხვა ფორმებს, ნაციონალიზმის, ეთნოცენტრიზმის, დისკრიმინაციისა და უმცირესობათა ან მიგრანტთა მიმართ გამოხატული მტრობის ჩათვლით”.

სიუჟეტთან დაკავშირებით საზოგადოების ნაწილისგან გამოითქვა პრეტენზია, როგორ და საიდან მოიპოვა ჟურნალისტმა მოქალაქეების მობილურის ნომრები. ქარტიის საბჭო აღნიშნავს, რომ არ მიიჩნევს ჟურნალისტის მხრიდან პროფესიულ დანაშაულად ნებისმიერი მოქალაქის პირადი ტელეფონის ნომრის მოპოვებას და მის გამოყენებას კომენტარის/ინფორმაციის მოსაპოვებლად, თუკი არსებობს საჯარო ინტერესი, თუმცა იქვე დასძენს, რომ **კონკრეტულ შემთხვევაში ამგვარი საზოგადოებრივი ინტერესი არ არსებობდა.**

საქართველოს მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მიხედვით, საზოგადოებრივი ინტერესი არის მაღალი აქტუალობის მქონე იმ ფაქტისა ან/და მოვლენის შესახებ საჯარო ინტერესი (და არა ცალკეულ პირთა უბრალო ცნობისმოყვარეობა), რომელიც ეხება პირთა ფართო წრეს ან საზოგადოების ერთ კონკრეტულ ჯგუფსა და საჯარო ინტერესის სფეროს, რომელიც დაკავშირებულია დემოკრატიულ სახელმწიფოში საზოგადოებრივი თვითმმართველობის განხორციელებასთან. ამასთან, ქარტიის საბჭო მიიჩნევს, რომ ვინაიდან „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ” კანონი არ ვრცელდება მედიაზე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მხრიდან ამ საკითხის შესწავლა დაუშვებელია და შეიცავს მედიის წარმომადგენლების მუშაობის შეზღუდვის რისკებს. **ქარტიის საბჭოს არაპროფესიონალურად მიაჩნია მედიის მხრიდან აუდიტორიისთვის პასუხის მოთხოვნა კრიტიკაზე, რადგან სწორედ საზოგადოებაა ის, ვისაც, არათუ უფლება აქვს, არამედ ვალდებულიცაა გააკრიტიკოს, დაიწუნოს ან მოიწონოს ჟურნალისტი და მისი მედიაპროდუქტი.**

მედიას უნდა ახსოვდეს, რომ ჟურნალისტი ქმნის საჯარო პროდუქტს, ის თავადაც საჯარო პირია და მისი კრიტიკის უფლება აქვს ნებისმიერ მოქალაქეს, ნებისმიერი ფორმით, თუ, რა თქმა უნდა, ის არ სცდება გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს და არ შეიცავს ძალადობისკენ მოწოდებას, მუქარას, სიძულვილის ენას.

კრიტიკის გამო ადამიანების საჯაროდ შერცხვენა, მათთვის პასუხის მოთხოვნა ნიშნავს, რომ მედიას სწორად არ ესმის საკუთარი მისია, საკუთარი მოვალეობა. მეტიც, ეს შეიძლება დამაზიანებელი იყოს როგორც სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებისთვის, ისე თავად მედიასაშუალებისთვის“.

გვავალდებულებს თუ არა კანონი ძაღლების უსაფრთხოდ გასეირნებას?

არსებობს რამდენიმე წესი, რომლის დაცვაც აუცილებელია ძაღლის სეირნობისას. შესაძლოა, უმეტესობამ ამის შესახებ იცის, მაგრამ არ ითვალისწინებს. თუმცა, ნებისმიერ ცივილურ ქვეყანაში მათი შესრულება აუცილებელია. გადახედეთ ძირითად მოთხოვნებსა და კანონმდებლობაში არსებულ წესებს, რომელთა გათვალისწინებაც დაგიცავთ შესაძლო უსიამოვნებისგან და დაგეხმარებათ, ცხოველის სეირნობის პროცესი გაცილებით სასიამოვნო გახადოთ.

ამის მიზეზი კი ბოლო პერიოდში გახშირებული შინაური ცხოველის მხრიდან პატრონის (და არამარტო) დაკბენის ფაქტებია. ზოგი შემთხვევა საცხოვრებელ სახლში მოხდა, ზოგიც ღია სივრცეში. ამიტომ, აუცილებელია პატრონებმა ცხოველის გასეირნებისას დაიცვან უსაფრთხოების ნორმები, კერძოდ:

*07:00 საათიდან — 23:00 საათამდე ძაღლების (გარდა დეკორატიული ჯიშის ძაღლებისა) გასეირნება საზოგადოებრივ ადგილებში, გარდა სპეციალური გამოსასეირნებელი სივრცეებისა, ნებადართულია, მხოლოდ მოკლე საბმელით, ან საბმელით და ალიკაპით, ხოლო მათი საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაყვანა, ნებადართულია მხოლოდ მოკლე საბმელით და ალიკაპით, ან სპეციალური კონტეინერით.

*23:00 საათიდან — 7 საათამდე, ნებადართულია: მოკლე საბმელით, საბმელით და ალიკაპით, ან ალიკაპით საბმელის გარეშეც.

*დაუშვებელია ცხოველის უპატრონოდ ან მეთვალყურეობის გარეშე მიტოვება.

აღნიშნული წესების დარღვევის შემთხვევაში, პასუხისმგებლობის ზომები გათვალისწინებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 103-ე მუხლით. ასევე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 259-ე მუხლის თანახმად.

უსაფრთხოების ნორმების დაუცველად, ცხოველის გასეირნებაზე, რასაც ადამიანის დაზიანება ან სიცოცხლის მოსპობა მოჰყვება, შესაძლოა, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა ამოქმედდეს. ამის შესახებ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მთავარმა იურისტმა კახა იოსელიანმა რადიო „პალიტრისა“ და „პალიტრანიუსის“ გადაცემაში „საქმე“ ისაუბრა.

მისი თქმით, უკვე არსებობს კანონპროექტის „შავი“ ვერსია, სადაც რამდენიმე ვარიანტია შესული. სწორედ ერთ-ერთ რეგულაციად, შესაძლოა, ძაღლის გაწვრთნის ვალდებულება შემოვიდეს. იმ შემთხვევაში კი, თუ უსაფრთხოების ზომების დარღვევას, ადამიანის, ან სხვა ცხოველის ჯანმრთელობის დაზიანება (მოსპობა) მოჰყვება, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს.

„კანონპროექტი შემუშავდა, გარკვეული რედაქცია უკვე არსებობს, ჩამოყალიბებული ფორმით. ამ ეტაპზე, დარგის სპეციალისტებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან ერთად კოორდინირებულად, საბოლოო რედაქციის შემუშავება, ასევე, მათი რეკომენდაციების, შენიშვნების განხილვა მიმდინარეობს.

შეიძლება ითქვას, რომ ეს მხოლოდ შავი ვარიანტია, იქ რამდენიმე ალტერნატივა განიხილება, უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. აქ ახალი არაფერია, ეს არის ამ სფეროში წინ წასული სხვადასხვა ქვეყნის, (ვგულისხმობ, მაღალი სტანდარტებით რომელი ქვეყნებიც გამოირჩევიან ცხოველთა უფლების დაცვითა და უსაფრთხოების ზომებით) რეგულაციები. მაგალითად, არის ცხოველთა გაწვრთნის ვალდებულება და ძალიან მკაცრი სანქციებია, მათ შორის, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ზომები, ამ ნორმების დაუცველობის შემთხვევაში. ასევე, არის კონკრეტული ჯიშების აკრძალვის პრაქტიკა, ევროპის ქვეყნებში და არამარტო. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მსჯელობა, ქართულ რეალობაში, ისეთი რეგულაციის შემოღებაზე, რომელზეც იქნება კონსენსუსი.

სხვადასხვა ქვეყნებში პრაქტიკა ასეთია, თუ მართლსაწინააღმდეგო ქმედება მოხდა, მაგალითად, ადამიანი, რომელიც არღვევს გასეირნების წესს (ან ვთქვათ, ცხოველი არ ჰყავს გაწვრთნილი, რაც ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საფუძველია), და ამას შემდგომ მოჰყვება სხვა ადამიანის, ან ცხოველის ჯანმრთელობის მსუბუქი/მძიმე დაზიანება, ან სიცოცხლის მოსპობა, ამ შემთხვევაში დგება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა. მსგავსი შინაარსის ნორმა, ამ კანონპროექტშიც გათვალისწინებულია და ეს ვარიანტიც განიხილება, რომ დაკანონდეს. თუ ადამიანი უხეშად არღვევს ცხოველის გასეირნების წესს, ანუ უსაფრთხოების ნორმების გაუთვალისწინებლობა ცხოველთან მიმართებით, რასაც მოჰყვება ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან ჯანმრთელობის დაზიანება, ესეც რომ გახდეს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი.

მეორე ვარიანტია, რომ კონკრეტული, აგრესიული ჯიშის ძაღლები აიკრძალოს, რაც ძალიან ბევრ პრობლემას აგვარიდებდა თავიდან. იმიტომ, რომ განსაკუთრებით ბოლო პერიოდში, კვირა არ გავა, რომ უბედური შემთხვევა არ მოხდეს, სწორედ ამ აგრესიული ჯიშის ძაღლების მხრიდან”,- განაცხადა კახა იოსელიანმა.

გვერდი მოამზადა
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

მაჩხაანელთა წარმატება ბადმინტონში

26-27 ნოემბერს თბილისში ბადმინტონის ფედერაციის ორგანიზებით ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი ბადმინტონში, დევიზით „მომავალი ვარსკვლავები“. შეჯიბრზე მონაწილეობდნენ ზემო მაჩხაანელი ბადმინტონელები, სადაც შემსწავლელი წრე ზაფხულიდან მოქმედებს. ასევე, სექტემბრიდან ბადმინტონი შეიტანეს სასწავლო პროგრამაში, რის გამოც სექტემბრიდან ზემო მაჩხაანის საჯარო სკოლაში ბადმინტონის წრის მეცადინეობებს ატარებს სპორტის მასწავლებელი თეა ქენქაძე. სკოლამ დამატებით შეიძინა ბადმინტონის ჩოგნები და ვალანები.

„შეჯიბრებამდე გრიპით დაავადდა სამი მოსწავლე, რის გამოც თბილისში წამოსვლა შეძლო მხოლოდ ორმა მოზარდმა, საბა ხუმარაშვილმა და ლიზი ქევხიშვილმა. მათ ჩემდა გასაკვირად, ზედიზედ ორ-ორი თამაში მოიგეს და მწვრთნელთა ყურადღებაც დაიმსახურეს. ძალიან ყურადღებით მიგვიღეს ფედერაციაში და სამომავლოდ ყველანაირ ხელშეწყობას დაგვპირდნენ. დაიგეგმება მათი სტუმრობა და ერთობლივი ვარჯიშები.

საინტერესოა ისიც, რომ ზაფხულში „შირაქში“ დაბეჭდილი პუბლიკაციის შემდეგ დამიკავშირდა არბოშიკისა და ოზაანის სპორტის მასწავლებელი ნანა ბეგიაშვილი, რომელმაც მთხოვა, რომ მათი სკოლებიც ჩამერთო და სულ მალე მათაც ჩავრთავთ. ასევე მინდა აღვნიშნო, რომ ბადმინტონი შეტანილია სასკოლო სპორტის ოლიმპიადის პროგრამაში და ზემო მაჩხაანიც მონაწილეობს, გადასულია შემდეგ ეტაპზე, სადაც უნდა გამოვლინდეს კახეთის რეგიონის გამარჯვებული. სასკოლო სპორტის ფედერაცია შეჯიბრს დეკემბრის დასაწყისში გამართავს,. - აღნიშნავს ბიჭიკო მაჩაბლიშვილი.

სასკოლო სპორტის ოლიმპიადა ბადმინტონში ჯერ რეგიონებში ტარდება და უახლოეს მომავალში უნდა შედგეს. ქულების მიხედვით გამოვლენილია მეტოქე, გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩუმლაყის გუნდი, რომელსაც ზემო მაჩხაანელები შეხვდებიან. ასპარეზობა გაიმართება როგორც გოგონებში, ისე ბიჭებში. განმარტავს, საბა ბუთხუზი საბერძნეთში გამგზავრებამდე დარწმუნებული იყო, რომ გაიმარჯვებდა და წაგებას არიონო“.

ილია მარტყოფლიშვილი

საბა ბუთხუზი მერიისგან ჯილდოს მიიღებს

საქართველოს უშუისტთა ნაკრებმა საბერძნეთის ქალაქ ლუთრაკიონში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე სამი ოქროს მედალი მოიპოვა.

ჩემპიონთა შორის არის 14 წლის დედოფლისწყაროელი სპორტსმენი საბა ბუთხუზი (მწვრთნელი გიორგი ცისკარაული). საბას მიღწეული წარმატება დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილმა მიულოცეს და შემდგომი წარმატებები უსურვეს.

ახალგაზრდა სპორტსმენი 2 დეკემბერს ინდონეზიაში გაემგზავრა, სადაც მსოფლიო ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას. კონტინენტის ჩემპიონის ტიტულის მოპოვებისთვის საბა ბუთხუზი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან საჩუქრად 3 000 ლარს მიიღებს, ხოლო მსოფლიო ჩემპიონატზე გამარჯვების შემთხვევაში მას 5000 ლარი გადაეცემა.

პირველი ვარჯიში ტრავმის შემდეგ – ხვიჩა კვარაცხელია ნაპოლის დაუბრუნდა

ხვიჩა კვარაცხელია მწყობრშია და ნაპოლისთან ერთად სრულფასოვნად ვარჯიშობს. ლუჩანო სპალეტის გუნდი 30 ნოემბერს დილით, საწვრთნელ ბაზაზე, კასტელ ვოლტურნოში შეიკრიბა, ჯერ სატრენაჟორო დარბაზში დაიტვირთა, მოგვიანებით კი მოედანზე გავიდა და ბურთით ივარჯიშა. 21 წლის ქართველმა შემტევმა საწვრთნელ სესიაში მონაწილეობა სრულად, გუნდთან ერთად მიიღო. ნეაპოლის კლუბის ოფიციალურმა საიტმა გუნდის ვარჯიშის ფოტოები გამოაქვეყნა, რომლებზეც სხვებთან ერთად კვარაცხელიაც ჩანს.

შეგახსენებთ, რომ ხვიჩამ წელის ტრავმა ნოემბრის დასაწყისში, ლივერპულთან ჩემპიონთა ლიგის გასვლით მატჩში მიიღო, რის შემდეგაც სერია A-ს სამი მატჩი გამოტოვა და ვერც საქართველოს ეროვნულ ნაკრებს დაეხმარა ამხანაგურ შეხვედრაში მაროკოსთან (0:3). ამის შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატით გამოწვეული პაუზა დაიწყო და კვარაცხელია საქართველოში დაბრუნდა. ნაპოლი თურქეთში შეკრებაზე პირველ დეკემბერს გაემგზავრება, სადაც ორი კვირა მოემზადება და რამდენიმე ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს: კრისტალ პალასთან, კარაგიუმრუკთან და ანტალიასპორთან. გარდა ამისა, ნეაპოლელები სეზონის განახლებამდე ერთ სპარინგს "სტადიო დიეგო მარადონაზეც" გეგმავენ.

ხვიჩა კვარაცხელიამ სეზონის პირველი ნაწილი ბრწყინვალედ ჩაატარა და ყველა ტურნირზე 17 ოფიციალურ მატჩში 8-8 გოლი და საგოლე პასი მიითვალა და 3-ჯერ პენალტი გამოიმუშავა. ნაპოლი, რომელიც სერია A-ს სატურნირო ცხრილს 15 მატჩში მოპოვებული 41 ქულით ლიდერობს, სეზონს 4 იანვარს, მილანის ინტერთან "სან სიროზე" თამაშით განაახლებს.

* * *

„ხალხს „მარადონაზე“ სიარულის ხალისი დაუბრუნა“ – ასეთი სათაურით მიუძღვნა სტატია გაზეთმა La Gazzetta dello Sport ხვიჩა კვარაცხელიას. როგორც ჩანს, „კვარა“ მზად არის ნაპოლის შემადგენლობაში დასაბრუნებლად და ასე ახასიათებს მას ყველაზე პოპულარული იტალიური სპორტული გაზეთი ქართველ ლეგიონერს:

„ჩვენ ნაკლებს ვსაუბრობთ მის თანაგუნდელებზე, რადგან ქართველის ფანტაზიამ და საოცარმა თამაშმა გულშემატკივრებს „მარადონაზე“ წასვლის ხალისი დაუბრუნა. ხალხი გაოცებული და დამუხტულია მისი განსხვავებულობით და გენიოსობით. ეს იმიტომ არ ხდება, რომ გუნდი მასზე ძალიან დამოკიდებულია. არა, KK77-მა ბოლო სამი თამაში წელის ტკივილის გამო გამოტოვა, მაგრამ ნაპოლიმ მაინც მოიგო, თუმცა, რა თქმა უნდა, გუნდს ამის გაკეთება მეტად გაუჭირდა".

მერვედ მოპოვებული მსოფლიო ჩემპიონობა

ჭადრაკის სამყაროს ლეგენდამ ნონა გაფრინდაშვილმა მერვედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული სენიორ (+65) ქალ მოჭადრაკეთა შორის, - ამის შესახებ ინფორმაციას ჭადრაკის ფედერაცია ავრცელებს.

„ჭადრაკის სამყაროს ლეგენდამ, მერვედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული სენიორ (+65) მოჭადრაკეთა შორის! აღსანიშნავია, რომ ჩვენი ლეგენდა ასევე თერთმეტი საჭადრაკო ოლიმპიადის გამარჯვებული და ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონია კლასიკურ ჭადრაკში“, - აღნიშნულია ინფორმაციაში.

ფედერაციის ინფორმაციით, სენიორთა შორის ევროპის ჩემპიონმა სოფიკო ტერელაძემ პირველობა გაინაწილა 50+ მსოფლიო ჩემპიონატზე ქალთა შორის. მათივე ცნობით, ჩემპიონის ტიტული მოიპოვა სენიორ (+50) მოჭადრაკეთა შორის ზურაბ სტურუამაც

საქართველოს ეტლით მოფარიკავე ქალთა ნაკრები ევროპის ჩემპიონია

ეტლით ფარიკაობაში, პოლონეთში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე გუნდურ შეჯიბრში, ხმლით ფარიკაობაში, საქართველოს ნაკრებმა ოქროს მედალი მოიპოვა.

საქართველომ ნახევარფინალში იტალიის ნაკრები დაამარცხა 45:23, ფინალურ ბრძოლაში კი უკრაინის ნაკრებს მოუგო ანგარიშით 45:42, პირველ ადგილზე გავიდა და ოქროს მედლის მფლობელი გახდა.

საქართველოს ნაკრები ასეთი შემადგენლობით ასპარეზობდა: ირმა ხეცურიანი, ნინა თიბილაშვილი, გვანცა ზადიშვილი,

აქვე გეტყვით, რომ ქართველი პარამოფარიკავეები განაგრძობენ ასპარეზობას პოლონეთში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე.

„ჩემი სამშობლო ცვლილებების გზით“

29 ნოემბერს, დედოფლისწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, ჩეხეთის კულტურის ცენტრის ინიციატივით, რომელიც ქ.თბილისში მდებარეობს, მოეწყო გამოფენა „ჩემი სამშობლო ცვლილებების გზებით - სახლის ისტორიები.“

„გამოფენა ჩეხეთში 2009 წლიდან იმართება. ის გვიყვება ჩვენი ქვეყნის განადგურებული შენობებისა და სივრცეების რესტავრირების შედეგად მინიჭებული ახალი ფუნქციების მქონე შენობებად გადაქცევის ისტორიებს. ყოველი ისტორიის უკან დგას ადგილობრივი მოსახლეობა, რომლებმაც გადაწყვიტეს უკეთესობისკენ შეცვალონ საკუთარი სახლი, გაერთნენ და თავად განახორციელონ ცვლილებები.

გამოფენის მიზანია ავტორებისა და დონორების მიმართ პატივისცემის გამოხატვა, რომლებიც ძალიან კარგ მაგალითებს აძლევენ სხვებს. გამოფენა სტუმრებს ამოგზაურებს ნაკლებად ცნობილ ადგილებში. ასევე გთავაზობთ ფოტოებს ტრანფორმაციამდე და მის შემდეგ, რადგან ადამიანის მეხსიერება ხანმოკლეა, ადამიანები ხშირად მარტივად ეგუებიან ახალ მდგომარეობას და მას თავისთავად ცვლიან.

გამოფენა ყოველწლიურად იწყება პრაღაში გახსნით. გამოფენის მონაწილეები, საჯარო და კერძო პირები უფასოდ ესწრებიან გამოფენას, რომელიც მოძრავია. გამოფენის ნახვა შეგიძლიათ მოედნებზე, ქუჩებში, პარკებში, რკინიგზის სადგურებში, უნივერსიტეტებში, ციხესიმაგრეებსა და შატოებში, ბიბლიოთეკებში, ასევე ოფისებში.

გამოფენა მხარდაჭერილია შემოწირულობებითა და სუბსიდიებით.

გამოფენაში მთელი ქვეყანა მონაწილეობს. ის გვიყვება საკუთარი სახლის პატივისცემის და რეგიონის მიმართ პასუხისმგებლობის აღების შესახებ“. - აღნიშნულია გამოფენის აღწერაში.

მსურველებს გამოფენის ნახვა კიდევ რამდენიმე დღის განმავლობაში შეეძლებათ.

ქართული მცირე მარნების ღვინოები ბერლინში

ბერლინში, ბუნებრივი ღვინოების გამოფენაზე „RAW Wine”, ქართული ქვევრის ღვინის 18 მარანმა წარადგინა საკუთარი ღვინოები. ეს იყო RAW Wine Berlin-ზე ქართული ქვევრის ღვინის ყველაზე მასშტაბური წარდგენა, რაც მნიშვნელოვანია ქვევრის ღვინის საერთაშორისო ცნობადობის გაზრდის და პოტენციური იმპორტიორების მოძიების მიმართულებით, რაც, შედეგად, ექსპორტის ზრდის შესაძლებლობას იძლევა.

„RAW Wine” (The Artisan Wine Fair) ერთ-ერთი გამორჩეული საერთაშორისო გამოფენაა, სადაც მაღალი ხარისხის ბუნებრივი, ორგანული და ბიოდინამიური ღვინოების მწარმოებლები იკრიბებიან. გამოფენის ორგანიზატორია ღვინის ცნობილი ექსპერტი საფრანგეთიდან იზაბელ ლეგერონი.

„ძალიან მიყვარს საქართველო და ქართული ღვინო. გამოფენაზე წარმოდგენილია 18 ქართველი მეღვინე საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, რომლებიც არაჩვეულებრივ ღვინოებს აწარმოებენ ტრადიციული მეთოდით ქვევრში, ქარვისფერ ღვინოებს, საფერავს და ა.შ. ჩემთვის განსაკუთრებით სასიამოვნოა იმის ხილვა, თუ როგორ გაიზარდა ხარისხი და რაოდენობა. აქ არიან ახალგაზრდა მეღვინეები, რომლებიც მცირე წარმოებით იწყებენ და მუდმივად ვითარდებიან. დიდ მადლობას ვუხდი ღვინის ეროვნულ სააგენტოს ამ ღონისძიების მუდმივი მხარდაჭერისთვის. აქაურობა სავსეა სტუმრებით, ჩვენ გვყავს ვიზიტორები ნორვეგიიდან, ისრაელიდან, პოლონეთიდან, რუმინეთიდან, ინგლისიდან, ლოს-ანჯელესიდან, ნიუ იორკიდან, ყველა აქ მოსულ სტუმარს უყვარს ბერლინი და ჩემი აზრით, ეს არაჩვეულებრივი შესაძლებლობაა ქართველი მეწარმეებისთვის, რომ შეხვდნენ უამრავ დაინტერესებულ ადამიანს“, - აღნიშნა იზაბელ ლეგერონმა.

ბერლინის გამოფენაზე 20-მდე ქვეყნის 160 ბუნებრივი ღვინის მწარმოებელი იყო წარმოდგენილი. ტრადიციულად, ქართული ღვინის მიმართ ინტერესი დიდი იყო ღვინის პროფესიონალებისა და ვიზიტორების მხრიდან.

პოტენციური იმპორტიორების მოძიებისა და ექსპორტის ზრდის შესაძლებლობის გათვალისწინებით, ქართული ღვინის წარდგენა გერმანიაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან, 2019 წლიდან, ეს ქვეყანა წარმოადგენს ქართული ღვინის ერთ-ერთ სტრატეგიულ საექსპორტო ბაზარს.

აღსანიშნავია, რომ ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ასევე ადგილობრივი დიპლომატიური მისიების ჩართულობით, 2022 წელს, ქვევრის ღვინის მწარმოებელი მარნები „RAW Wine“-ის გამოფენებში ნიუ-იორკში, ლოს-ანჯელესში და ლონდონშიც მონაწილეობდნენ.

კროსვორდი



ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. ამ მეცნიერის დისერტაცია მხოლოდ ერთ გვერდს მოიცავდა და ზედ ერთვოდა მისი ცოლის ხელის მტევნის ჩონჩხის სურათი 2. ძაფი. იღებენ ჭის პარკისგან 3. ფრანგი მეცნიერი, რომელმაც შეიმუშავა პროდუქტების თერმულად დამუშავების მეთოდი 4. სურნელოვანი ხსნარი: კელნის წყალი 5. ამერიკელი დეტექტივი ალან ... 6. ყველაზე სწრაფად მზარდი ხე, რომელიც ბოტანიკურად ბალახს წარმოადგენს 7. მდინარე, რომელიც ციმბირის ცენტრად ითვლება 10. მტაცებელი ფრინველის ნარნარი ფრენა 16. ფიროსმანაშვილის, როგორც თვითნასწავლი მხატვრის ხელოვნება 17. ჩანთოსანი ცხოველი. მისი ახალშობილი 2 გრამს იწონის 18. საფრანგეთის მეფეთა საზაფხულო სასახლე 20. ალუმინის ძალიან თხელი ფირფიტა 21. იაპონური თეატრი. შეიქმნა XVII საუკუნეში 23. პალეოგენის შუა ეპოქა 25. ანდალუსიური სწრაფი ცეკვა 28. მუსლიმანთა წმინდა ქალაქი, სადაც დევს წმინდა ქვა ქაბა 33. ანდაზა: ... იყო ძმარიო და გაერია წყალიო

ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 5. პირველი ქალაქი, რომელიც დაბომბა ფაშისტური გერმანიის მიერ, იყო ბასკური ქალაქი გერნიკა. ვინ დახატა ამ მოვლენის ამსახველი ტილო, რის გამოც იდევნებოდა ფაშისტებისგან (სახელი) 8. ჰოლანდიელი მხატვარი, რომელიც მუქ ტონების განსაკუთრებული სიღრმის მისაღწევად საღებავებში პუდრად ქცეულ მინას ურევდა 9. დამავადებელი ბუროსებრი ბაქტერიები, რომლებიც ვაკცინებურ გაერთიანებებს ქმნიან 11. ღმერთ ვულკანის სამუშაო ატრიბუტი 12. კუზიანი ხარი. გავრცელებულია აზიასა და აფრიკაში 13. პოეზიის ჟანრი 14. ძველად, გეიშა სუფრის მომსახურე ქალი იყო იაპონიაში, რა ერქვა მოწაფე გეიშას 15. რუმინელი მულტიპლიკატორი. გამოიგონა კიტრისთავიანი კაცუნას პერსონაჟი (სახელი) 17. რომელი ფრინველის სახელს უწოდებენ ახალზელანდიელები თავის თავს 19. სიტყვის ნაწილი. ნიშნავს ახალს 20. ინგლისელი ზღვაოსანი ჯეიმს ..., რომელიც ჰავაის კუნძულ კეალაკეკუას აბორიგენების მსხვერპლი გახდა 22. რას იყენებენ აკუპუნქტურით მკურნალობის დროს 24. რომელი თამაშის ტერმინია “მარსი” 25. ნიშნავს ჩირქოვანს 26. პარკოსანი მცენარე, რომელიც ფესვებზე აზოტშემცველ კოჟრებს იკეთებს, რითაც ნიადაგს ანოყივრებს 27. სოფელი ბორჯომის რაიონში 29. ქედი, რომელზეც ევროპასა და აზიას შორის წარმოსავლეთი საზღვარი გადის 30. ძველი ფრანგული სიგრძის ერთეული 31. იაპონიის დედაქალაქი, რომელიც ოფიციალურად არ არის ქალაქი, ის იაპონიის ერთ-ერთი პრეფექტურაა 32. რბილი სასის გაგრძელება 34. ხელის ერთთვლიანი საზიდარი 35. მოწყობილობა როიალში, რომელზეც დამაგრებულია პედლები

ᲢᲠᲐᲒᲔᲓᲘᲐ ᲛᲘᲠᲖᲐᲐᲜᲨᲘ

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ მირზაანში მცხოვრები 28 და 35 წლის მამაკაცები შენგელი ბარამაშვილი და გოგიტა თარაშვილი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად გარდაიცვალნენ. გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, მერსედესის მარკის ავტომობილი, რომელიც შენგელი ბარამაშვილს ეკუთვნოდა და თავადვე მართავდა, 26 ნოემბერს ღამით დაახლოებით 20 საათზე ლაგოდეხის გზაზე, სავარაუდოდ სავალი ნაწილიდან მოცურდა და ხეს შეეჯახა. ავტომანქანაში სიძე-ცოლისძმის გარდა სხვა მგზავრი არ ყოფილა.

როგორც თვითმხილველები განმარტავენ, სასწრაფო დახმარების ეკიპაჟს მამაკაცები საავადმყოფოში აღარ გადაუყვანია, რადგან ორივე მათგანის სიკვდილი ადგილზე დაფიქსირდა.

წვიმისა და ნისლის გამო გუშინ მთელი დღის განმავლობაში გაზრდილი იყო ავტოსაგზაო შემთხვევების რიცხვი. მეზობელ რაიონებში ცენტრალურ მაგისტრალებზე ათზე მეტი ავტოავარიის შემთხვევა დაფიქსირდა.

მირზაანში ამბობენ, რომ გარდაცვლილი მძღოლი სტიქაროსანია და ოჯახი არ ჰყავს, მეორე გარდაცვლილ მგზავრს კი მეუღლე და ხუთი მცირეწლოვანი შვილი დარჩა.

„შენგელის „მერსედეს **C** კლასი“ ჰყავდა, ამით ყოფილან წასულები. შემთხვევა ღამით მოხდა, საქობო-ბოლოკიანის გზაზე, მოსახვევში ხეს შეეჯახნენ, მაგრამ არ ვიცით, უბედური შემთხვევა მაღალი სიჩქარის გამო მოხდა, თუ წვიმიან გზაზე მოცურდნენ. სიძე-ცოლისძმა ადგილზე დაიღუპნენ,“ – აცხადებენ მირზაანში.

მომხდართან დაკავშირებით დაწყებულია გამოძიება, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით მე-6 ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

გარდაცვლილები მირზაანში პირველ დეკემბერს დაკრძალეს.

ᲘᲚᲘᲐ ᲛᲐᲠᲗᲧᲝᲤᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

კიდევ ერთი აღმოჩენა — ფრიდონ იაკობიშვილი

„შირაქის"კიდევ ერთი აღმოჩენა. სოფელ ზემო მაჩხაანში მცხოვრები 17 ნლის ფრიდონ იაკობიშვილი ბავშვობიდან ხატავს, რამდენიმე წელია ის მირზაანში, ბელა ლობჯანიძის სამხატვრო სკოლის მოსწავლეა. ასაკის მიუხედავად მისი ნახატებიც შთამბეჭდავად გამოიყურება. ისიც მონანილეობდა მირზაანის ქუჩების მოხატვის პროცესში, სურს ქანდაკების მიმართულებით გაგრძელოს სწავლა. ამ და სხვა საინტერესო დეტალებზე და საომავლო გეგმებზე სასაუბროდ გაზეთი „შირაქი" ნიჭიერ ახალგაზრდას ესტუმრა.

ფრიდონ იაკობიშვილი: „ხატვით ღრმა ბავშვობაში დავინტერესდი. ყოველთვის მიყვარდა ბუნებაზე დაკვირვება და ძალიან მეზღაპრე ვიყავი, სულ ლამაზ ამბებს ვთხზავდი. ალბათ, ეს იყო მიზეზი, ხატვა დამეწყო. მინდოდა, ის მშვენიერი სამყარო აღმეწერა, რასაც ვხედავდი. გავლენა პირველ რიგში ფიროსმანის სოფელთან ახლოს ცხოვრებამ მოახდინა, სასკოლო წიგნების ილუსტრაციებმა.

მშობლები ყოველთვის ხელს მიწყობდნენ, ერთხელ წიგნი გვიყიდეს მე და ჩემს ძმას, სადაც ახსნილი იყო ხელოვნების მრავალი მიმართულება. ამ წიგნმა დიდი გავლენა იქონია ჩემზე, მთელ დღეს ამ წიგნთან ვატარებდით, ვხატავდით და ვძერწავდით.

დეიდა ხატავს და მისი ნახატების ყურება ძალიან მიყვარდა ბავშვობაში. თავდაპირველად წიგნებიდან და ინტერნეტიდან ვსწავლობდი ხატვას. ყოველთვის არ გამოდიოდა ჩანაფიქრი, მაგრამ იმდენად სასიამოვნოა ხატვის პროცესი, არასდროს მიფიქრია თავის დანებება. რა ნახატებიც არ გამომდიოდა, არც ისინი გადამიყრია, ისევ ვინახავ. როცა ჩანაფიქრი არ გამომდის, მაინც ვინახავ იმ ნამუშევრებს, რათა სამომავლოდ შევამოწმო ჩემი განვითარების დონე...

სკოლის დამთავრების შემდეგ ვაპირებ სამხატვრო აკადემიაში ჩაბარებას, ქანდაკების შესწავლას. თავისთავად გადაწყვეტილი მაქვს, რომ ხელოვნებას გავყვები, რადგან ჩემი სულის განუყოფელი ნაწილია. ხატვით ახლაც ვხატავ, ამიტომ ჩემთვის საინტერესო იქნება ხელოვნების სხვადასხვა მიმართულება ავითვისო, განსაკუთრებით ქანდაკების ტექნიკამ დამაინტერესა.

– როგორ გაიცანი ბელა ლობჯანიძე, როგორ მოხვდი მასთან და რა როლი შეიტანა შენს შემოქმედებით უნარებში?

– რამდენიმე წლის წინ ბელა ლობჯანიძემ მირზაანში სამხატვრო სკოლა გახსნა. მაშინ 15 წლის ვიყავი და არანაირი შეხება არ მქონია მსგავს წრეებთან. ბელაზეც აქამდე არაფერი მსმენოდა. დედაჩემისგან გავიგე სახელოსნოს გახსნის შესახებ და მისი რჩევით შევედი კიდეც. მაშინვე შემიყვარდა ის გარემო და მიხაროდა, რომ ვიპოვე ისეთი ადამიანი, ვინც გამიგებდა და დამეხმარებოდა. თავიდანვე ვგრძნობდი, რომ საქმე ბევრად დიდ და მნიშვნელოვან ადამიანთან მქონდა, ვიდრე აქამდე შევხვედრილვარ.

რომ არა ბელა, არ მეყოლებოდა საუკეთესო სულიერი მეგობარი, რომელსაც ყველაზე დიდი ამაგი აქვს ჩადებული ხელოვნებასთან დაკავშირებაში. ბელას მიუძღვის ყველაზე დიდი წვლილი ჩემს განვითარებაში, ის დამეხმარა და ახლაც მეხმარება ყოველი ხარვეზის გამოსწორებაში და ახალი ნაბიჯის გადადგმაში, მარტო მე კი არა, ათობით ბავშვს. ფუნჯის ხელში დაჭერა არ ვიცოდით და ფერების შედგენა, ფაქტობრივად, ნულიდან შეგვასწავლა ყველაფერი, რაც კი ახლა ვიცით. მან გაგვიღრმავა ხელოვნების სიყვარული და განგვამტკიცა ჩვენს მიზნებში. ხატვას, როგორც ხელოვნების სფეროს, უდიდესი კავშირი აქვს სულიერებასთან, ბელამ კი დადებითად დამუხტა მთელი სოფელი. ამ ყველაფერმა შეუცვლელი სასიკეთო გავლენა იქონია ბავშვებზე და ჩემზეც. კიდევ უფრო დავრწმუნდი ჩემს მიზნებსა და სურვილებში. ძნელია ფიროსმანის შემოქმედების ჩაწვდომა და მთლიანად შესწავლა, მაგრამ, ვფიქრობ, ყველა ჩვენგანზეა გადმოსული ნიკალას მადლი.



– თემებს როგორ არჩევ, ხატვის დროს თუ შეგიცვლია წინასწარი გეგმა, შინაარსი იგეგმება, თუ ნელ-ნელა იქმნება?

– ამ დრომდე 150-ზე მეტი ნახატი მაქვს. ხატვას რომ ვიწყებ, რა თქმა უნდა, დაახლოებით ვიცი, რა უნდა დავხატო, მაგრამ ძირითად შემთხვევაში დეტალები ეტაპობრივად იკვეთება. ზოგადად, მხატვარი არ არჩევს იდეას, იდეა თავად მოდის ადამიანთან. ნახატის წინასწარ დაგეგმვას აზრი არ აქვს, რადგან ბოლოს რაც ზედმეტია, ის დეტალი ისედაც ქრება და უკეთესი იხატება. ყოფილა ისეთი შემთხვევაც, როცა ბოლომდე არ ვიცოდი, რას ვხატავდი, სანამ არ დავასრულე ტილო, მანამდე შინაარსი ვერ გავიგე.

– მირზაანმა ბელას ინიციატივით და თქვენი ჩართულობით დიდი ყურადღება მიიქცია ქუჩების მოხატვით, რომელიც ბოლო წლებში დაიწყო. ფიროსმანის თემატიკით მესერები გააფორმეთ...

– ბელას მოსწავლეები სიამოვნებით ჩავერთეთ ამ საქმეში და არაერთი მოსახლის მესერი გავალამაზეთ. გვინდოდა, ფიროსმანის თემატიკა გაცოცხლებულიყო ქუჩებში და ნებისმიერ გამვლელს, ნებისმიერ ქუჩაში ენახა, რომ ეს ფიროსმანის სოფელია. ვფიქრობ, საინტერესო გამოვიდა.

ილია მარტყოფლიშვილი

ქვემო ქედში შემოდგომა გააცილეს

ქვემო ქედის კულტურის სახლის ორგანიზებით ღონისძიება „ოქროსფერი შემოდგომა" გაიმართა. ადგილობრივი ანსამბლი „თაობა", თამარ კობაიძის ხელმძღვანელობით, აქტიურად ჩაება სხვადასხვა სახის გასართობ თამაშებში. აგრეთვე მოეწყო მათ მიერვე შესრულებული ნახატებისა და ნაქარგების გამოფენა. მონაწილეები სახალისო გამოცანებით, ლექსებით და სიმღერებით ალამაზებდნენ ღონისძიებას, მოეწყო შემოდგომის კუთხე.

„ბავშვები ყოველთვის ხატავენ და ჩვენს სამუშაო ოთახში გვაქვს გაკრული მათი ნამუშევრები. ხელნაკეთი ნივთები კი პირველად დაამზადეს. გვინდოდა მრავალფეროვნება შეგვეტანა ჩვენს ღონისძიებაში. თანაც ამ კუთხით მონდომებულები არიან, მუშაობის პროცესი ძალიან მოსწონთ. სოფელში არ არის ხელსაქმის შემსწავლელი წრეები, ამიტომ ამ მხრივ რაიმე განათლება არ აქვთ. უბრალოდ იდეა მივაწოდე და თვითონ შექმნეს დამოუკიდებლად. რომ გვქონდეს საჭირო მასალები, მე თვითონ ვასწავლიდი ქარგვას და ხელნაკეთი ნივთების შექმნას. აქვე მინდა აღვნიშნო მშობლების გვერდში დგომა და აქტიური ჩართულობა. მადლობა მათ დარბაზის მოწყობა-გალამაზებაში. ბავშვებმა მხიარულად გააცილეს შემოდგომა. მათთვის დასამახსოვრებელი საღამო იყო, რომელიც სოფლის ადმინისტრაციული ერთეულის გვერდში დგომით ჩატარდა," – უთხრა გაზეთ „შირაქს" ანსამბლის ხელმძღვანელმა **თამარ კობაიძემ.**

ქვემო ქედში მოქმედი ანსამბლები ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანია და მათი ღონისძიებები მუნიციპალიტეტის სოფლებს შორის გამორჩეულია.

ამინდი

დედოფლისწყარო

ორშაბათი 05.12		სამშაბათი 06.12		ოთხშაბათი 07.12		ხუთშაბათი 08.12		პარასკევი 09.12		შაბათი 10.12		კვირა 11.12	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
0°	−3°	1°	−4°	3°	−3°	5°	−3°	6°	-3°	6°	-2°	7°	-1°

გამომცემელი შპს „შირაქი"
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ილია მარტყოფლიშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის" კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის" სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
გაზეთის გამოწერა წელიწადში – 20 ლარი